საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 59 (79) | ოთხშაბათი, 27 მარტი, 1991 წელი. | ფასი 10 კაპიკი

არის კოსმოსური სატელეფონო კავშირი!

თბილისის ხაზზეა მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყანა



1991 წლის 26 მარტი ღირსსახსოვარ თარიღად აღინიშნება საქართველოს კავშირგაბმულობის სისტემაში და, საერთოდ, ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. ამ დღეს კოსმოსური კავშირგაბმულობის სისტემის ამუშავებით პირდაპირი სატელეფონო საუბარი გაიმართა ორ დიდ მამულიშვილს შორის. თბილისის კავშირგაბმულობის სახლის ბანზე დამონტაჟებულ კოსმოსურ ანტენასთან აწკრიალდა სატელეფონო აპარატი და ესპანეთიდან, ქ. მალაგიდან ბატონიშვილი გიორგი ბაგრატიონი მიესალმა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ზვიად გამსახურდიას. სარეკორდო დროში, ოთხ თვეში წარმატებით დაგვირგვინდა საბჭოთა კავშირში პირველი პირდაპირი სატელეფონო კავშირი საქართველოსი მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანასთან.

ამ მოვლენასთან დაკავშირებით კავშირგაბმულობის სახლში გაიმართა საზეიმო ცერემონია, რომელსაც საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან ერთად ესწრებოდნენ კავშირგაბმულობის სამინისტროს მუშაკები, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ჟურნალისტები.

საზეიმო ცერემონია გახსნა საქართველოს კავშირგაბმულობის მინისტრმა, პროფესორმა ფელიქს ტყებუჩავამ. ბატონმა ზვიად გამსახურდიამ გაჭრა სიმბოლური ლენტი იმ ფაქტის დასადასტურებლად, რომ საქართველო ჩაირთო მსოფლიო საერთაშორისო სატელეფონო კავშირში. შემდეგ ბატონი ზვიადი მიკროფონთან მიდის და ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას ულოცავს მის ინიციატორს, პროექტის ავტორსა და შემსრულებელს ბატონ ფელიქს ტყებუჩავას, ამერიკელ კოლეგებს, ერთობლივი საწარმოს „ჯორჯიანინტელკომის" თანამშრომლებს, საქართველოს კავშირგაბმულობის მთელ კოლექტივს და ყველას, ვინც დაუღალავად იღვაწა ამ საქმის კეთილად დაგვირგვინებისათვის.

თანამედროვე კომუნიკაციების საშუალებით კავშირურთიერთობის დამყარების დიდმნიშვნელოვან ფაქტზე ილაპარაკეს თავიანთ გამოსვლებში საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ თენგიზ სიგუამ, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნემო ბურჭულაძემ, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა გიორგი ხოშტარიამ.

საზეიმო ცერემონიალის დამთავრების შემდეგ საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრმა, პროფესორმა ფელიქს ტყებუჩავამ პრესკონფერენცია გამართა დედაქალაქის პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ჟურნალისტებისათვის, მან ილაპარაკა იმ დიდ სიძნელეებზე, იმ წინააღმდეგობებზე, რომელსაც ამ იდეის ხორცშესხმას უწევდნენ ძველი კომუნისტური რეჟიმის პერიოდში, არადა, რაოდენ აუცილებელია საინფორმაციო ბლოკადის გარღვევა, საქართველოდან სწორი ინფორმაციის მიწოდება.

სატელეფონო კოსმოსური კავშირი მსოფლიოს თავისუფალ ქვეყნებთან განახორციელა საქართველოსა და ამერიკის ერთობლივმა საწარმომ. მთელი ეს რთული, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი უნიკალური აპარატურა, მოწყობილობა, ანტენა ამერიკულია. მინისტრმა აღნიშნა აგრეთვე, რომ მოხდება კოსმოსური კავშირურთიერთობის შემდგომი გაფართოება. ამჟამად თუ ერთდროულად მხოლოდ ექვსი პირდაპირი, ეფექტიანი არხი მუშაობს და იგი უპირველესად ჩვენს მთავრობასა და საინფორმაციო საშუალებებს ემსახურება, შემდგომში ახალი კოსმოსური ანტენების დაყენებით, სატელეფონო არხთა რაოდენობა გაიზრდება და შესაძლებლობა შეიქმნება მისი დახმარებით მოსახლეობამაც ისარგებლოს.

მინისტრმა უპასუხა ჟურნალისტთა მრავალ შეკითხვას.

ლარისა ხუგულური.

სურათებზე: სატელეფონო კავშირის დამყარების საზეიმო ცერემონიალის ერთი მომენტი: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია ჭრის ლენტს, მარცხნივ კავშირგაბმულობის მინისტრი ფ. ტყებუჩავა; კოსმოსური ანტენა.

ჯაბარ ლომაძის ფოტო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ზვიად გამსახურდიას შეხვედრა შვეციის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან ბატონ კარლ ოტო ერიან ბერნერთან

ა. წ. 25 მარტს დილის 12 საათზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ზვიად გამსახურდია შეხვდა შვეციის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ბატონ კარლ ოტო ერიან ბერნერს.

ბატონი ზვიად გამსახურდია მიესალმა ელჩს და მისი სახით მთელ შვედ ხალხს. ელჩმა აღნიშნა, რომ მის ქვეყანაში ცნობენ საქართველოს ანექსიას და მხარს უჭერენ საქართველოს ბრძოლას სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის. ბატონმა ელჩმა გააკეთა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მას ჰქონდა შეხვედრა ოპოზიციის წარმომადგენლებთან. იგი დაინტერესდა უკანონო შეიარაღებული ფორმირებების საქმიანობითაც. ბატონმა ზვიად გამსახურდიამ განმარტა ჭეშმარიტი ოპოზიციის არსი, რაც მდგომარეობს ხელისუფლებასთან კონსტრუქციულ თანამშრომლობაში და არა გამიზნულ დაპირისპირებაში, და აღნიშნა, რომ ხსენებული ძალები არ ითვლებიან პოლიტიკურ ოპოზიციად, ვინაიდან ისინი დაუკავშირდნენ კრიმინალურ ელემენტებს. საქართველოში არის ოპოზიცია, რომელშიც შედიან სოლიდური პიროვნებები — მწერლები, მეცნიერები, რომლებთანაც ჩვენ ვთანამშრომლობთ დემოკრატიულ საწყისებზე. რაც შეეხება შეიარაღებული უკანონო ფორმირება „მხედრიონის" ლიდერების დაპატიმრებას, ეს გარდაუვალი აქციაა, ვინაიდან საქართველოს ხელისუფლება, ისევე როგორც ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყნისა, ვერ შეურიგდება კანონგარეშე შეიარაღებული ფორმირების არსებობას, მით უმეტეს, რომ ამ ფორმირების საქმიანობით თვით ხალხია უპირველეს ყოვლისა შეწუხებული. ბატონმა ზვიად გამსახურდიამ აღნიშნა, რომ ასეთი შეიარაღებული ფორმირება და კრიმინალურ სამყაროსთან დაკავშირებული ოპოზიცია წარმოადგენენ ცენტრის დასაყრდენს დესტაბილიზაციის შესაქმნელად.

ელჩის შეკითხვის პასუხად ბატონმა ზვიად გამსახურდიამ განმარტა, რომ ე. წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემა ცენტრის მიერ არის ინსპირირებული, იგი პოლიტიკური ხასიათისაა და არა ეთნიკურის და გამოიყენება საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის წინააღმდეგ. მანვე აღნიშნა, რომ ამ პრობლემის მოგვარების გზას იგი ხედავს რსფს რესპუბლიკისა და საქართველოს ერთობლივ მოქმედებაში, რისი პერსპექტივებით ნათლად დაისახა რუსეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან ბატონ ბორის ელცინთან ამასწინანდელი შეხვედრის დროს. იყო საუბარი საქართველოში 31 მარტის რეფერენდუმის ჩატარების შესახებაც.

26 მარტს საღამოს შვეციის ელჩი საქართველოდან მიემგზავრება.

საქართველოს უზენაესი საბჭოს პრესცენტრი

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ვ. არძინბას

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 79, 82, 104 (პ. 8) და „რეფერენდუმის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად განახორციელეთ საჭირო ღონისძიებანი, რათა უზრუნველყოთ აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის გამოკითხვის მოწყობა, რომელიც 1991 წლის 31 მარტისათვის დანიშნულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 28 თებერვლის № 166-1 დადგენილებით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

1991 წლის 25 მარტი.

მიმართვა აფხაზეთის მოსახლეობას

თანამემამულენო!

თვითმპყრობელური რუსეთის იმპერიის მსხვრევის შედეგად საქართველოს ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 26 მაისს, 17 საათსა და 10 წუთზე თბილისში გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. მრავალსაუკუნოვანი ბრძოლისა და მონობის შემდეგ კვლავ აღდგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. თუმცა დამოუკიდებელმა, დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სულ სამიოდე წელს იარსება — ბოლშევიკურმა რუსეთმა წითელი არმიის ხიშტებსა და ადგილობრივ ბოლშევიკ-ექსტრემისტებზე დაყრდნობით 1921 წლის 25 თებერვალს მოახდინა მისი ჯერ ოკუპაცია, ხოლო შემდეგ ფაქტობრივი ანექსია. მიუხედავად ამისა, ქართველ ერს არ შეუწყვეტია თავისუფლებისათვის ბრძოლა და ამ ბრძოლაში მას მხარში ედგა საქართველოში მცხოვრები არაქართველების დიდი ნაწილი, რომლისთვისაც საქართველო მეორე სამშობლოა.

თანამემამულენო! შეუძლებელია აფხაზეთის მოსახლეობა გამოთიშო ერთიანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისაგან, შეუძლებელია, დედასაქართველოს ჩამოაცილო მისი განუყოფელი, ძირძველი კუთხე — აფხაზეთი. კრემლის კაბინეტში დაწერილი სცენარით განხორციელებული ვერანაირი ანტიქართული პროვოკაციებით ვერ შეძლებენ აფხაზეთში მისი მრავალეროვანი მოსახლეობის წაკიდებას. ჩვენ გულწრფელად გვჯერა და გვწამს, რომ ა. წ. 17 მარტს იმპერიის შემდგომი მოდერნიზაციის მიზნით გამართული საკავშირო, ფალსიფიცირებული რეფერენდუმის შედეგები არანაირად არ გამოხატავს რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობის აზრს.

31 მარტს საქართველოში იმართება რეფერენდუმი ერთადერთი კითხვით — „თანახმა ხართ, თუ არა აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე". რეფერენდუმის შედეგებმა უნდა დაანახვოს დასავლეთს, მთელ კაცობრიობას, რომ საქართველოს სურს დამოუკიდებლობა. მან კიდევ ერთხელ უნდა დაადასტუროს ქართველი ერის ნება. ამდენად, მან უნდა გვიჩვენოს, მზად ვართ თუ არა თავისუფლებამდე მისასვლელად და რამდენად უდგას მხარში ქართულ ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას არაქართული მოსახლეობა. დარწმუნებული ვართ, აფხაზეთის არაქართული მოსახლეობის ძირითადი ნაწილი თავის ქართველ ძმებთან ერთად 31 მარტს მივა სარეფერენდუმო ურნებთან და ხმას მისცემს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას იმ აქტის საფუძველზე, რომელშიაც ცალკე მუხლადაა ჩაწერილი: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს აძლევს მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს".

ჭეშმარიტად!.. ძვირფასო თანამემამულენო! ჩვენ, ყველამ ერთად, საქართველოში მცხოვრებმა ქართველმა თუ აფხაზმა, სომეხმა თუ ბერძენმა, რუსმა თუ უკრაინელმა, ესტონელმა თუ ებრაელმა... ერთიანი ძალისხმევით უნდა აღვადგინოთ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და მოვიპოვოთ თავისუფლება.

საქართველოს ჰელსინკის კავშირ-ეროვნული აღორძინების ცხუმ-აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაციის სახელით:

ავთანდილ დავითაია, ზურაბ კვარაცხელია, ზაურ კვარაცხელია, მალხაზ ბაბელაია, ზვიად ნადარეიშვილი, სოსო ჯომიდავა, იზოლდა უბილავა, დალი სილაგაძე.

საქინფორმი

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

რაც უფრო ახლოვდება 31 მარტი, დღე, როცა დანიშნულია საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოების არჩევნები და რეფერენდუმი მისი სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხის გამო, მით უფრო მეტი საზრუნავი უჩნდებათ მათ ორგანიზატორებს. ბუნებრივია, რომ ახლა განსაკუთრებით დაძაბული მუშაობაა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, რომელმაც კოორდინაცია უნდა გაუწიოს და გააკონტროლოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს ბედისთვის ამ ძალზე მნიშვნელოვანი კამპანიების მიმდინარეობა.

ამ მუშაობაში არ არის წვრილმანები, ორივე კამპანიის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ჩათვლითაც კი, რაზეც მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მათი წარმატებული ჩატარება. და აი, კომისიების მორიგ სხდომაზეც ეს საკითხი განიხილეს რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენელთა მონაწილეობით. ის, რომ არჩევნებამდე და რეფერენდუმამდე დარჩენილ დღეებში მათ ჯერ კიდევ ბევრი რამის გაკეთება მოუწევთ, ცხადყო ანგარიშებმა, რომლებიც წარმოადგინეს სხდომაზე მთელი რიგი ტერიტორიული საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებმა. თუ, ვთქვათ, ხონისა და დმანისის საარჩევნო ოლქების ტერიტორიაზე შექმნილი უბნები პრაქტიკულად უკვე უზრუნველყოფილია ყოველივე საჭიროთი, და ახლა, როგორც ამ ოლქების საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებმა მზია კოტორაშვილმა და ნარიმან მანთაშაშვილმა განაცხადეს, აქ მთელი სიმძიმე გადატანილია პროპაგანდისტულ ახსნა-განმარტებითი მუშაობის საკითხებზე, იგივე სამუშაოს განხორციელება ამბროლაურის საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მდებარე მრავალ უბანში უწევთ თვით ელემენტარული სატელეფონო კავშირის უქონლობის პირობებშიც კი. თანაც, როგორც მისი ტერიტორიული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ დემნა მიქიაშვილმა აღნიშნა, რაიონში, განსაკუთრებით მის შორეულ სოფლებში, ძალზე იგრძნობა აგრეთვე შეფერხებები ელექტროენერგიის მიწოდებაში, რაც ძალზე მწვავედ სვამს იქ ნავთის ლამპების, სანთლების ოპერატიულად მიტანის საჭიროების საკითხს... თუმცა, სხდომაზე მოწვეულმა ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის ხელმძღვანელმა მუშაკებმა მტკიცედ აღუთქვეს, რომ ეს პრობლემა მალე გადაიჭრება.

მომავალი რეფერენდუმისაკენ, რომლის დროსაც რესპუბლიკის მოქალაქეებმა პასუხი უნდა გასცენ კითხვას, თანახმა არიან თუ არა, რომ აღდგეს საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობა, მიპყრობილია აგრეთვე იმ მრავალი ჩვენი თანამემამულის ყურადღება, რომლებიც დროებით რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ცხოვრობენ ან იმყოფებიან. გაითვალისწინა რა მათი სურვილი, ცენტრალურმა კომისიამ ქალაქ მოსკოვში შექმნა რეფერენდუმის ორი საარჩევნო უბანი. ერთი უბანი განეკუთვნება ქალაქ თბილისის რეფერენდუმის ოლქს, მეორე კი ქალაქ სოხუმისას. იმ უბნის ამომრჩეველთა სიებში, რომელიც განეკუთვნება სოხუმის ოლქს, შეჰყავთ საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები მოქალაქეები, რომლებსაც აქვთ უკანასკნელი მუდმივი ჩაწერა აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე, აგრეთვე ის ამომრჩევლები, რომლებიც რეფერენდუმის დღეს გამოცხადდებიან საარჩევნო უბანში ამ ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეფერენდუმის მომწყობი საუბნო კომისიების მიერ გაცემული ხმის მიცემის უფლების მოწმობებით, რაც შეეხება თბილისის ოლქის კუთვნილი უბნის ამომრჩეველთა სიებს, გადაწყდა, ამ სიებში შეიყვანონ ის ამომრჩევლები, რომლებიც ცხოვრობენ საქართველოს ფარგლებს გარეთ და აქვთ უკანასკნელი მუდმივი ჩაწერა რესპუბლიკის დანარჩენ ტერიტორიაზე, აგრეთვე ამომრჩევლები, რომლებიც გამოცხადდებიან ამ ტერიტორიაზე მდებარე რეფერენდუმის მომწყობი კომისიების მიერ გაცემული ხმის მიცემის უფლების მოწმობებით. ცენტრალურმა კომისიამ დაამტკიცა რეფერენდუმის მომწყობი ორივე საუბნო კომისიის შემადგენლობები, ამასთან, მხარი დაუჭირეს საქართველოს ლენინგრადის სათვისტომოს წინადადებასაც იმის თაობაზე, რომ ამ ქალაქში შეიქმნას რეფერენდუმის მომწყობი საარჩევნო უბანი.

ნიადაგ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ყურადღების ცენტრშია აგრეთვე საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრთა საქმიანობა, რესპუბლიკის დეპუტატთა კორპუსის შემადგენლობაში მიმდინარე ცვლილებები. სხდომაზე განიხილეს ორ საარჩევნო ოლქში — მარტვილის № 96 და მესტიის № 97 ოლქებში რესპუბლიკის პარლამენტის გამოკლებული წევრების ნაცვლად უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევისათვის ახალი არჩევნების დანიშვნის საკითხი. კანონის შესაბამისად, მიღებულია გადაწყვეტილება ეს არჩევნები გაიმართოს, მიმდინარე წლის 12 მაისს, კვირას.

საქინფორმი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

1991 წლის 12 მაისს მარტვილის № 96 და მესტიის № 97 საარჩევნო ოლქებში საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატების ასარჩევად დანიშნული არჩევნების საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი:

1. საარჩევნო უბნების შექმნა — არაუგვიანეს 2 აპრილისა (კანონით განსაზღვრულ გამონაკლის შემთხვევებში — არაუგვიანეს 7 მაისისა).
2. საოლქო საარჩევნო კომისიის მისამართის, საარჩევნო უბნების ნომრების, მისამართებისა და საზღვრების გამოქვეყნება — არაუგვიანეს 4 აპრილისა.
3. საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის განცხადებების წარდგენა პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების, შრომითი კოლექტივებისა და სხვათა მიერ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებად წარდგენისა და დანიშვნის შესახებ — არაუგვიანეს 9 აპრილისა.
4. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილისა და ორი წევრის დანიშვნა საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ — 10-11 აპრილი.
5. სრული შემადგენლობით საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება — 10-11 აპრილი.
6. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა — 12-13 აპრილი.
7. საუბნო საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობის, მისამართისა და ტელეფონის ნომრის გამოქვეყნება ადგილობრივ გაზეთებში — დაუყოვნებლივ.
8. საარჩევნო ოლქებში დეპუტატობის კანდიდატთა წარდგენა:
   - ა) პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მიერ საბუთები წარედგინება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას — არაუგვიანეს 15 აპრილისა;
   - ბ) ამომრჩეველთა ჯგუფების მიერ განცხადება წარედგინება საოლქო საარჩევნო კომისიას, რის შემდეგაც მათ შეუძლიათ დაიწყონ მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვება — არაუგვიანეს 4 აპრილისა;
   - გ) ამომრჩეველთა ჯგუფების მიერ დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატების საბუთების (მხარდამჭერთა სია, კანდიდატის თანხმობა) წარდგენა საოლქო საარჩევნო კომისიისათვის — 31 მარტი-8 აპრილი.
9. მხარდამჭერთა სიების შემოწმება და მათზე პრეტენზიების მიღება — სიების მიტანიდან არაუგვიანეს მე-5 დღისა.
10. შესწორებული საბუთების წარდგენა საოლქო საარჩევნო კომისიისათვის — არაუგვიანეს 17 აპრილისა.
11. დეპუტატობის კანდიდატების რეგისტრაცია საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ;
    - ა) პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების კანდიდატებისა — წარდგენიდან არაუგვიანეს მე-3 დღისა (რეგისტრაციის ბოლო თარიღი 18 აპრილია);
    - ბ) დამოუკიდებელი კანდიდატებისა — წარდგენიდან არაადრეს მე-5 და არაუგვიანეს მე-10 დღისა (რეგისტრაციის ბოლო თარიღი 18 აპრილია).
12. დეპუტატობის კანდიდატთა მოწმობების გაცემა — კანდიდატთა რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში.
13. რეგისტრირებულ დეპუტატობის კანდიდატთა სიის გამოქვეყნება რესპუბლიკურ და ადგილობრივ გაზეთებში — არაუგვიანეს 23 აპრილისა.
14. დეპუტატობის კანდიდატთა საარჩევნო პროგრამების გამოქვეყნება ადგილობრივ გაზეთებში — კანდიდატთა რეგისტრაციიდან 10 დღის განმავლობაში.
15. ნდობით აღჭურვილ პირთა რეგისტრაცია საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ და მათთვის სათანადო მოწმობების გაცემა — განცხადების წარდგენიდან 3 დღის ვადაში.
16. დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატების მხარდამჭერთა სიების განადგურება (თუ არ არის შეტანილი საჩივარი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ან სასამართლო ორგანოებში) — 22 აპრილი.
17. ამომრჩეველთა სიების გამოკვრა საარჩევნო უბნებში — 27 აპრილი (კანონით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში — 10 მაისი).
18. ამომრჩეველთა მოსაწვევი ბარათების დარიგება — 28 აპრილი-7 მაისი (კანონით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში — 8-10 მაისი).

საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიისაგან

1991 წლის 25 მარტს კომისიის დადგენილებით ქ. ლენინგრადში შეიქმნა საარჩევნო უბანი, რომელიც მიეკუთვნა ქ. თბილისის სარეფერენდუმო ოლქს. საარჩევნო უბნის მისამართია: ლენინგრადი, ბოლშოი პროსპექტი, № 83, კიროვის სახელობის კულტურის სახლი, აუდიტორია № 84.

ამ საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა სიებში უნდა შეიყვანონ ამომრჩევლები, რომლებიც ცხოვრობენ ლენინგრადისა და მისი ოლქის ტერიტორიაზე და ბოლო მუდმივი ჩაწერა ჰქონდათ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, აგრეთვე ის ამომრჩევლები, რომლებიც რეფერენდუმის დღეს საარჩევნო უბანში გამოცხადდებიან საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საუბნო სარეფერენდუმო კომისიების მიერ გაცემული ხმის მიცემის უფლების მოწმობებით.

ლენინგრადის საუბნო სარეფერენდუმო კომისია დამტკიცდა შემდეგი შემადგენლობით:

1. თავმჯდომარის მოადგილე — **ვალენტინა სიხარულიძე,** ლენინგრადის დიაგნოსტიკის ცენტრის ექიმი, უპარტიო;
2. **არისტო ბაგრატიონი** — ლენინგრადის მე-5 ფსიქიატრიული საავადმყოფოს ექიმი, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის წევრი;
3. **ვახტანგ მუკბანიანი** — ლენინგრადის სარესტავრაციო სახელოსნოს მხატვარი, უპარტიო;
4. **ვაჟა ჩაჩიბაია** — ლენინგრადის ელექტროტექნიკური უნივერსიტეტის ასპირანტი, უპარტიო;
5. **ნუგზარ ხონელიძე** — კინოსტუდია „ლენფილმის" ოპერატორი, უპარტიო.

ქ. ვლადიკავკაზში შეიქმნა საარჩევნო უბანი, რომელიც მიეკუთვნა ყაზბეგის რაიონის სარეფერენდუმო ოლქს.

ამ საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა სიებში უნდა შეიყვანონ ამომრჩევლები, რომლებიც ცხოვრობენ ჩრდილოეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე და ბოლო მუდმივი ჩაწერა ჰქონდათ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, აგრეთვე ის ამომრჩევლები, რომლებიც რეფერენდუმის დღეს საარჩევნო უბანში გამოცხადდებიან ხმის მიცემის უფლების მოწმობით.

ვლადიკავკაზის საუბნო სარეფერენდუმო კომისია დამტკიცდა შემდეგი შემადგენლობით:

1. თავმჯდომარის მოადგილე — **ეთერ ფიცხელაური,** ვლადიკავკაზის მე-19 ქართული საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე;
2. **მანანა მირაჩიშვილი** — ვლადიკავკაზის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სტატისტიკოსი;
3. **თამაზ ჩოჩოშვილი** — ვლადიკავკაზის მე-19 ქართული საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე;
4. **ოთარ ხულელიძე** — ტექნიკოსი;
5. **იზოლდა ხუციშვილი** — ვლადიკავკაზის მე-19 ქართული საშუალო სკოლის პედაგოგი.

ქ. ბაქოში შეიქმნა საარჩევნო უბანი, რომელიც მიეკუთვნა თბილისის სარეფერენდუმო ოლქს. საარჩევნო უბნის მისამართია: ქ. ბაქო, პატრის ლუმუმბას ქ. 553-ე კვარტალი, ბაქოს უმაღლესი პარტიული სკოლის № 2 საერთო საცხოვრებელი.

ამ საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა სიებში უნდა შეიყვანონ ამომრჩევლები, რომლებიც ცხოვრობენ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე და ბოლო მუდმივი ჩაწერა ჰქონდათ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, აგრეთვე ის ამომრჩევლები, რომლებიც რეფერენდუმის დღეს საარჩევნო უბანში გამოცხადდებიან ხმის მიცემის უფლების მოწმობებით.

ბაქოს საუბნო სარეფერენდუმო კომისია დამტკიცდა შემდეგი შემადგენლობით:

1. თავმჯდომარის მოადგილე — **მამუკა ნათმელაძე,** ბაქოს უმაღლესი პარტსკოლის მსმენელი, საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის წევრი;
2. **რუსუდან ონიანი,** ბაქოს უმაღლესი პარტსკოლის მსმენელი, საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის წევრი;
3. **გიორგი ოქროპირიძე,** ბაქოს უმაღლესი პარტსკოლის მსმენელი, საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის წევრი;
4. **ლალი სომხიშვილი,** ბაქოს უმაღლესი პარტსკოლის მსმენელი, საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის წევრი;
5. **ლევან ჯაფარიძე,** ბაქოს უმაღლესი პარტსკოლის მსმენელი, უპარტიო.

გუდაუთის რაიონის ახალსოფელში შეიქმნა საარჩევნო უბანი. ამ საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა სიებში უნდა შეიყვანონ ამომრჩევლები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ გუდაუთის რაიონის ტერიტორიაზე.

ვინაიდან ქ. ტყვარჩელის საქალაქო აღმასრულებელმა კომიტეტმა დროულად არ წარმოადგინა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების კანდიდატურები და არ შექმნა პირობები, რათა 31 მარტს ტყვარჩელის მოსახლეობას თავისუფლად გამოეხატა თავისი ნება საქართველოს რესპუბლიკის რეფერენდუმში, საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიის გადაწყვეტილებით ტყვარჩელში მცხოვრებ ამომრჩევლებს უფლება მიეცათ ხმა მისცენ ქ. ოჩამჩირეში, იმ საარჩევნო უბანში, რომელშიც ტარდება წინასწარი ხმის მიცემა. ეს ამომრჩევლები შეტანილ უნდა იქნენ ამომრჩეველთა დამატებით სიებში.

საქინფორმი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ბატონ პერეს დე კუელიარს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ზვიად გამსახურდიას, მოსკოვში აკრედიტებულ უცხოეთის საინფორმაციო კომპანიებისა და სააგენტოების წარმომადგენლებს, ასლი: სსრ კავშირის პრეზიდენტს მ. ს. გორბაჩოვს

აფხაზეთის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები მტკიცე პროტესტს და აღშფოთებას გამოთქვამენ ცენტრის მიერ 17 მარტს მოწყობილი ე. წ. სსრ კავშირის რეფერენდუმის გამო.

ეს იყო არა რეფერენდუმი, არამედ მორიგი ფარსი, ყველაზე დიდმასშტაბური და საყოველთაო ფალსიფიკაცია უკანასკნელი 50 წლის მანძილზე. ის, რაც აფხაზეთში მოხდა 17 მარტს, არის წმინდა პოლიტიკური ავანტიურა თავისი შორსმიმავალი აგრესიული მიზნებით, რომელთა პერსპექტიულობაზე დიდ იმედებს ამყარებენ სეპარატისტები და მათი მოსკოველი პატრონები. ეს იყო ადამიანთა აბუჩად აგდების, ხელისუფალთა უკანონო მოქმედების, უხეში ძალდატანებისა და აღვირახსნილობის წინასწარ განზრახული და ბინძური მეთოდებით განხორციელებული აქცია, რომლის რეჟისორობა, უდავოდ, სსრ კავშირის პრეზიდენტს და აფხაზეთში მის ადგილობრივ შეგირდებს ეკუთვნით.

რეფერენდუმისწინა ავანტიურები აფხაზეთში იმით დამთავრდა, რომ შეიქმნა ინტერფრონტი და იმ ძალების კონსოლიდაცია, რომლებიც შევიდნენ მოსკოვის ცენტრისტულ დაჯგუფებაში. ახლა ისღა დარჩენიათ, რომ შეაკოწიწონ ე. წ ეროვნული ხსნის კომიტეტი და მეამბოხე გენერალიტეტს მოუხმონ სადესანტო ჯარების მოსაშველებლად.

დაე, ყველამ იცოდეს, თუ რაოდენ დიდი საფრთხის წინაშე დგას საბჭოთა კავშირში მცხოვრები თითოეული ჩვენგანი, თითოეული ერი, ცალკეული რეგიონები და რესპუბლიკები.

17 მარტის რეფერენდუმი — ეს იყო თბილისის, ბაქოს, ყარაბაღის, ვილნიუსის, რიგის და მრავალთა სხვათა სისხლიანი ტრაგედიების გაგრძელება და საბჭოთა იმპერიის თავხედური გალაშქრება დემოკრატიისა და ადამიანთა უფლებების წინააღმდეგ.

აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ უხეშად დაარღვიეს რეფერენდუმის საპროცესო ნორმები. აღმაშფოთებელია ის, რომ იგი მოეწყო ეროვნული ნიშნის მიხედვით — ქართველებით დასახლებულ გალის რაიონსა და ოჩამჩირის რაიონის ქართულ სოფლებს აუკრძალეს რეფერენდუმში მონაწილეობა, გუდაუთის რაიონის სოფელ აბდარხუქში მცხოვრებ ქართველთა ოჯახებს თავს დაესხნენ აფხაზი ექსტრემისტები და ძალით მიერეკებოდნენ ხმის მისაცემად, შემდეგ კი აიძულეს, მიეტოვებინათ თავიანთი სახლკარი. და ეს მოხდა 17 მარტს, საღამოს 9 საათზე. რეფერენდუმის დამთავრებიდან ერთი საათის შემდეგ. აღმაშფოთებელია ისიც, რომ მრავალ სარეფერენდუმო უბანში რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო ხმის უფლების მქონე 200, ზოგან კი 300 პროცენტმაც კი. გუდაუთის რაიონში 34 000 კაციდან (ძირითადი სია) ხმა მისცა 42 ათასამდე კაცმა, გაგრის ზონაში მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს წინასწარ დაურიგეს ბიულეტენები.

ხმების ტირაჟირების გზით აფხაზმა სეპარატისტებმა შეძლეს ერთგულება დაემტკიცებინათ კრემლისთვის, სწორედ იმ კრემლისთვის, რომელმაც ვილნიუსსა და რიგაში მხოლოდ დროებით თუ შეაჩერა თავისი ტანკები და ისიც რეფერენდუმისწინა ამინდის შესაქმნელად.

ჩვენ გადაჭრით მოვითხოვთ რეფერენდუმის მასალებისა და შედეგების შემოწმებას, მაგრამ არა გვგონია, სიმართლე დადგინდეს. ფალსიფიკატორები უკან არ იხევენ და, რამდენადაც ვიცით, ემზადებიან ახალი ავანტიურისათვის, თანაც ძალით გათრეული რეფერენდუმის საფუძველზე.

გვაკვირვებს ადამიანის უფლებებისათვის მებრძოლი თავისუფალი სამყაროს და თვით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამოკიდებულება სსრ კავშირში მიმდინარე პროცესებისადმი. მოვუწოდებთ ყველას — კაცობრიობის ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში არ მიატოვონ თავისუფლებისა და ადამიანთა უფლებებისათვის მებრძოლი ქართველი და სხვა ხალხები.

დროა, გაერთიანებული ძალით აილაგმოს კომუნისტური რეჟიმი. ამიტომ მოგმართავთ თქვენ: გამოიყენოთ თქვენს ხელთ არსებული ყველა საშუალება, რათა სიმართლის ხმა მისწვდეს მსოფლიო საზოგადოებრიობას და განიკურნოს ჩვენი პლანეტა მეოცე საუკუნის ყველაზე საშიში სენისაგან — სიმართლის ფალსიფიკაციისგან, რომელიც სათავეს საბჭოთა იმპერიის დედაქალაქში იღებს.

საქართველოს ჰელსინკის კავშირ-ეროვნული აღორძინებისა და ცხუმ-აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაციის სახელით:

ავთანდილ დავითაია, მალხაზ ბაბელაია, ზურაბ კვარაცხელია, ზაურ კვარაცხელია, ზვიად ნადარეიშვილი, სოსო ჯომიდავა, იზოლდა უბილავა, დალი სილაგაძე.

საქინფორმი.

სსრ კავშირის მინისტრთა კაბინეტი

1991 წლის 19 მარტის **№ 105 დადგენილება** მოსკოვი, კრემლი

საცალო ფასების რეფორმისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის შესახებ

ფასებისა და შემოსავლის დარგში საერთო შეთანხმებული პოლიტიკის განხორციელების შესახებ სსრ კავშირისა და რესპუბლიკების შეთანხმების და საცალო ფასების რეფორმისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის საკითხებზე სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად, სსრ კავშირის მინისტრთა კაბინეტი **ადგენს:**

I. საცალო ფასების რეფორმის დარგში

1. განხორციელდეს საცალო ფასების რეფორმა, რომელიც შეიცავს მათ ეტაპობრივ ლიბერალიზაციას, ამასთან მხედველობაში იყოს მიღებული, რომ სახალხო მოხმარების საქონლის ფასები და მომსახურების ტარიფები ყალიბდება საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის რეალური ღირებულების, სამომხმარებლო თვისებების, მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობის, ქვეყნის მთელი ტერიტორიისათვის იმ ძირითადი საქონლის საცალო ფასების ზრდის ზღვრების დაწესების გათვალისწინებით, რომელიც განსაზღვრავს მოსახლეობის ცხოვრების დონეს.

საცალო ფასებისა და ტარიფების შეცვლა დაუკავშირდეს მოსახლეობის სოციალური დაცვის საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელებას, ხელფასის, სტიპენდიების, პენსიების, დახმარებებისა და სხვა სოციალური მისაცემლების ზრდას.

2. დაწესდეს რესპუბლიკებთან შეთანხმებული სახალხო მოხმარების ძირითადი საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების მომატების ზღვრული ოდენობანი ქვეყნის მთელი ტერიტორიისათვის № 1 დანართის თანახმად.

რესპუბლიკებს შეუძლიათ დააწესონ იმ ცალკეულ სახეობათა საქონლის ნაკლები ფასები, რომლებსაც აწარმოებენ და ხმარობენ თავიანთ ტერიტორიაზე.

3. სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტმა და რესპუბლიკების მთავრობებმა დაამტკიცონ თავიანთი კომპეტენციის შესაბამისად ახალი სახელმწიფო საცალო ფასები და სამოქმედოდ შემოიღონ 1991 წლის 2 აპრილიდან.

არ უნდა მოიმატოს მედიკამენტებისა და სამედიცინო დანიშნულების ნაწარმის, ყავის, სინთეზური ბოჭკოების ქსოვილებისა და მათგან დამზადებული ნაწარმის, სინთეზური მასალებისაგან დამზადებული ფეხსაცმლის, ბეწვეულის, ტრიკოტაჟის, წინდების და სათამაშოების, ბენზინის, ნავთის, ელექტროენერგიის, გაზის, ქვანახშირის, მოსახლეობისათვის გამოყოფილი სალუმელე სათბობისა და შეშის, აგრეთვე არყის მოქმედმა სახელმწიფო საცალო ფასებმა.

4. საცალო ფასების ზრდის შეზღუდვის მიზნით, ნაწილობრივ შენარჩუნებულ იქნეს 1991 წლისათვის ხორცის, რძის, თევზეულის, მედიკამენტებისა და სახალხო მოხმარების ზოგიერთი სხვა სოციალურად მნიშვნელოვანი საქონლის დოტაციები.

5. დაწესდეს, რომ 1991 წელს № 2 დანართის თანახმად საქონელი მოსახლეობას მიეყიდება რეგულირებადი ფასებით. ფასების რეგულირება ხდება მათი ზღვრული დონეების ან საპრეისკურანტო ფასების მიმართ ცვლილების ოდენობათა შემოღების გზით ან სხვა წესით, რომელსაც განსაზღვრავენ ფასწარმოქმნის ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტმა და რესპუბლიკების ფასწარმოქმნის ორგანოებმა თავიანთი კომპეტენციის შესაბამისად დაამტკიცონ და ყველა დაინტერესებულ საწარმოსა და ორგანიზაციას გააცნონ ფასების ზღვრული დონეები თუ მათი შეცვლის ოდენობანი.

6. შეტანილ იქნეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 12 ნოემბრის № 1134 დადგენილებით დამტკიცებულ სახალხო მოხმარების იმ საქონლის ნუსხაში, რომელიც მოსახლეობას მიეყიდება სახელშეკრულებო (თავისუფალი) საცალო ფასებით, საქონელი № 3 დანართის თანახმად.

7. ფასწარმოქმნის შემდგომ ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით შეწყდეს „დ" და „ს" — ინდექსიანი სახალხო მოხმარების ახალი საქონლის დანამატების დაწესება.

8. მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების დონის ამაღლების, იაფი და ძვირი საქონლის გაყიდვის თანაბარსარგებლიანობის უზრუნველყოფის მიზნით, სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსთან ერთად ახალ სახელმწიფო საცალო ფასებთან ერთდროულად შემოიღოს სახალხო მოხმარების საქონლის მიხედვით დიფერენცირებული ახალი სავაჭრო ფასჩამოკლებანი. ამასთან, დაწესდეს ფასჩამოკლებათა ერთნაირი ოდენობანი საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებისათვის.

რეკომენდაცია მიეცეთ რესპუბლიკათა მთავრობებს საჭიროების შემთხვევაში დააზუსტონ იმ რაიონების, ორგანიზაციებისა და საწარმოების ნუსხები, რომლებისთვისაც გათვალისწინებულია გაზრდილი სავაჭრო ფასჩამოკლებანი სახელმწიფო საცალო ფასებით საქონლის მიწოდებისას, აგრეთვე გადასინჯონ საზოგადოებრივ კვებაში ფასნამატის ოდენობანი საბითუმო და საცალო ფასებისა და ტარიფების, სოციალური დაზღვევისათვის შენატანებისა და სავაჭრო ფასჩამოკლებათა ზრდასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის რკინიგზათა სამინისტრომ და სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტრომ დააწესონ ვაგონ-რესტორნებსა და კუპე-ბუფეტებში, ხომალდებზე საზოგადოებრივი კვების საწარმოებში გასაყიდი პროდუქციისა და საქონლის ახალი ფასნამატი.

9. სსრ კავშირის რკინიგზათა სამინისტრომ, სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტრომ, სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტრომ და სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრომ დაამტკიცონ სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით რკინიგზის, საავიაციო და საზღვაო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის და კავშირგაბმულობის მომსახურების ახალი ტარიფები.

10. სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტმა და მმართველობის რესპუბლიკურმა ორგანოებმა უზრუნველყონ ყველა დაინტერესებული საწარმოს და ორგანიზაციისათვის ახალი საცალო ფასების გაცნობა.

სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ და სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ დააწესონ საქონლის გადაფასების წესი ახალი სახელმწიფო საცალო, რეგულირებადი და თავისუფალი ფასების სამოქმედოდ შემოღების თარიღისათვის. საქონლის გადაფასების შედეგად მიღებული სახსრები ჩაირიცხება საკავშირო ბიუჯეტში და მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებში თანაბარი წილით.

11. დაწესდეს, რომ სახალხო მოხმარების არასასურსათო საქონელს, რომლის მოქმედი საცალო ფასები (სავაჭრო ფასჩამოკლების გამოქვითვით) ახალ საცალო ფასებზე ნაკლებია, დამამზადებელი საწარმოები მიჰყიდიან სავაჭრო ორგანიზაციებს (საწარმოებს) და სხვა მომხმარებლებს საბითუმო ფასებით (სსრ კავშირის მთავრობისა და რესპუბლიკათა მთავრობების გადაწყვეტილებებით დოტირებული პროდუქციის ნომენკლატურაში შემავალი საქონლის გარდა), ხოლო მოსახლეობას — საბითუმო ფასებით 20 პროცენტამდე სავაჭრო ფასნამატით (უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებისა და მათთან გათანაბრებული შორეული და მთის რაიონებისათვის — 30 პროცენტამდე).

12. რესპუბლიკათა მთავრობებმა, სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტმა ზუსტად იხელმძღვანელონ ფასების დარგში საერთო პოლიტიკით, გააძლიერონ კონტროლი ფასწარმოქმნის დადგენილი წესის დაცვისადმი, დროულად გააუქმონ მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით ფორმირებული ფასები, უზრუნველყონ სახელმწიფო დისციპლინის დამრღვევი საწარმოებისა და ორგანიზაციებისადმი ეკონომიკური სანქციების გამოყენების გარდაუვალობა და განახორციელონ ღონისძიებანი ამ დარღვევებში ბრალეულ პირთა პასუხისგებაში მისაცემად.

II. მოსახლეობის სოციალური დაცვის დარგში საცალო ფასების შეცვლასთან დაკავშირებით

13. მოსახლეობის სოციალური დაცვის კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელებისას უნდა ვიხელმძღვანელოთ სსრ კავშირის მოქალაქეთა შრომისა და სამართლიანი ანაზღაურების კონსტიტუციური უფლებების, კანონების წინაშე მათი თანასწორობისა და ყველა რესპუბლიკის მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის უთუო დაცვით.

ქვეყნის მოსახლეობისათვის სახელმწიფო საცალო ფასების შეცვლით გამოწვეული დამატებითი ხარჯების კომპენსაცია ხდება შემდეგი ძირითადი პრინციპების შესაბამისად:

კომპენსაციას მოხმარდეს ძირითადი სასურსათო საქონლის, მასობრივ სახეობათა საშენი მასალებისა და ავეჯის, აგრეთვე სხვა არასასურსათო საქონლის გაძვირების შედეგად მიღებული მთელი სახსრები იმ ნუსხების მიხედვით, რომლებსაც განსაზღვრავენ რესპუბლიკების მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენისა და ჯგუფის შემოსავლის დონის გათვალისწინებით;

განხორციელდეს საბავშვო ასორტიმენტის საქონლის გაძვირების სრული კომპენსაცია არასრულწლოვანბავშვებიანი ოჯახებისათვის შესაბამისი სახსრების მიზნობრივი გამოყოფით;

დაწესდეს მოსახლეობის სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით დიფერენცირებული გადასახდელი კომპენსაციების ოდენობანი ბიუჯეტის და სხვა წყაროების ხარჯზე სოციალურად მოწყვლადი ფენების, უწინარესად ბავშვების, მოსწავლე ახალგაზრდობის, ინვალიდების, პენსიონერების, ახალგაზრდა, არასრული და მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური მხარდაჭერის პრიორიტეტით;

მოემატოთ ხელფასი (შრომის ანაზღაურება) მომუშავეებს და ამავე დროს შემცირდეს საწარმოთა (კოლმეურნეობათა) მოგების და მოქალაქეთა შემოსავლის დაბეგვრა;

მიზნობრივად მოხმარდეს ფასებისა და ტარიფების მომატების შედეგად მიღებული სახსრების ნაწილი განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კულტურისა და საარქივო დაწესებულებების წამყვანი პროფესიების მუშათა ხელფასის დონის დამატებითს ზრდას;

გაიზარდოს მოსწავლე ახალგაზრდობის მოქმედი სტიპენდიები და დაწესდეს ახალი სტიპენდიები;

გაიზარდოს სამხედრო მოსამსახურეთა ფულადი კმაყოფის, სასურსათო, ნივთიერი და სხვა სახეობათა მატერიალური უზრუნველყოფის ოდენობანი;

გაიზარდოს ყოველგვარი პენსიების, დახმარებებისა და სხვა სოციალური მისაცემლების ოდენობა, აგრეთვე გაფართოვდეს იმ პირთა წრე, რომლებიც სარგებლობენ სახელმწიფოს მატერიალური მხარდაჭერით, სსრ კავშირის სოციალური დაზღვევის ფონდისა და სსრ კავშირის საპენსიო ფონდის სახსრების ხარჯზე;

მოხდეს საავადმყოფოებში, ინტერნატებში, სკოლებში, ხანდაზმულთა და ინვალიდთა სახლებში, სკოლამდელ და სოციალური სფეროს სხვა დაწესებულებებში, მოსახლეობის სოციალური მომსახურების ხარჯების ზრდის სრული კომპენსაცია;

მოსახლეობის ხელმოკლე ფენების ფულად კომპენსაციას დაემატოს სხვადასხვა სახეობის სოციალური, უწინარეს ყოვლისა, ნატურალური დახმარება, რომელსაც უწევენ ადგილობრივი ორგანოები;

გაუქმდეს სასურსათო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების სარტყელებად დიფერენციაცია;

დაწესდეს გადასახდელი კომპენსაციების ოდენობანი ხელფასის მოქმედი რაიონული კოეფიციენტების შესაბამისად.

დაწესდეს, რომ:

საცალო ფასების რეფორმისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის საკითხებზე სსრ კავშირისა და რესპუბლიკების შეთანხმების შესაბამისად, საკომპენსაციო თანხების ოდენობანი რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების მიხედვით განისაზღვრება 1990 წლის სახელმწიფო რესურსებიდან მოსახლეობის მიერ საქონლისა და მომსახურების ფაქტობრივი მოხმარების საფუძველზე;

პირველი გადასახდელი კომპენსაციები სტუდენტებსა და მოსწავლეებს, პენსიონერებს, ბავშვებს, სხვა პირებს, რომლებიც სოციალურ პენსიებსა და დახმარებებს იღებენ, ეძლევათ უპირატესი წესით, ვადამდე, რომლიდანაც შემოღებული იქნება სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ახალი ფასები;

გადასახდელი კომპენსაციების კონკრეტულ ოდენობასა და წესს მოხმარების რეგიონული პირობებისა და სტრუქტურის გათვალისწინებით აწესებენ რესპუბლიკური ორგანოები, რაც არ უნდა იყოს ამ დადგენილებით გათვალისწინებული მოსახლეობის შესაბამისი ჯგუფების შემოსავლის მატების გარანტირებულ ოდენობაზე ნაკლები ახალი საცალო ფასების შემოღების დროს სსრ კავშირისა და რესპუბლიკების აღნიშნული შეთანხმებითა და ამ დადგენილებით გათვალისწინებული დონეების საფუძველზე.

მოსახლეობის შემოსავლის მატების წესი და მინიმალური გარანტირებული ოდენობანი

მომუშავე მოქალაქეებს

14. სახელმწიფო საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა გადასინჯონ სატარიფო განაკვეთები და თანამდებობრივი სარგოები, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მთავრობის ან მისი დავალებით სხვა ორგანოების გადაწყვეტილებებით.

განაკვეთები და სარგოები იზრდება პროფკავშირულ კომიტეტთან შეთანხმებით საწარმოს ადმინისტრაციის მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით რესპუბლიკათა მთავრობების ამ დადგენილების მეცამეტე პუნქტში ჩამოყალიბებული კომპენსაციისა და გადაწყვეტილებების ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით, მაგრამ სულ ცოტა 60 მანეთისა თვეში.

საჭიროების შემთხვევაში პირველი გადასახდელები მიეცეთ ხელფასის სპეციალური დანამატების სახით ცალკე უწყისის მიხედვით აბსოლუტური თანხებით, ამასთან, ეს თანხები შეტანილ იქნეს განაკვეთებსა და სარგოებში.

რეკომენდაცია მიეცეთ კოლექტიურ და კოოპერაციულ მეურნეობებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც სახელმწიფო სატარიფო განაკვეთებსა და თანამდებობრივ სარგოებს იყენებენ, გაუზარდონ ხელფასი მომუშავეებს სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ამ დადგენილებით გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისად.

15. ამიერიდან, სანამ სსრ კავშირის უზენაესი საბჭო მიიღებდეს საკანონმდებლო აქტებს მინიმალური ხელფასის ახალი დონის დაწესების, შრომის ანაზღაურების რეფორმის მოწყობისა და საწარმოების ადმინისტრაციასა და პროფკავშირებს შორის (ან სხვა შრომითი კოლექტივის რწმუნებულ ორგანოს შორის) 1992 წლის სატარიფო შეთანხმებების დადების შესახებ, სსრ კავშირის მთავრობის ან მისი დავალებით სხვა ორგანოების გადაწყვეტილებებით დამტკიცებული სატარიფო განაკვეთები და თანამდებობრივი სარგოები და 60 მანეთით ამ დადგენილების მეთოთხმეტე პუნქტის თანახმად გადიდებული სატარიფო განაკვეთები და თანამდებობრივი სარგოები ჩაითვალოს კონკრეტული პროფესიულ-კვალიფიციური ჯგუფებისათვის შრომის ანაზღაურების მინიმალურ დონეთა სახელმწიფო გარანტიებად, ამასთან დაცულ იქნეს შრომითი კანონმდებლობით დადგენილი სამუშაო დროის ხანგრძლივობა და მუშაკის მიერ შრომითი ვალდებულებების (შრომის ნორმების) შესრულება.

16. დაწესდეს, რომ ამ დადგენილების მეთოთხმეტე პუნქტის შესაბამისად განაკვეთებისა და სარგოების მომატების შემდეგ საწარმოები დამოუკიდებლად უწესებენ მუშებსა და მოსამსახურეებს გაზრდილ სატარიფო განაკვეთებს, თანამდებობრივ სარგოებს, ამასთან, უნარჩუნებენ მოქმედ თანაფარდობას განაკვეთებისა და სარგოების ოდენობაში პერსონალის კატეგორიათა შიგნით, აგრეთვე განსაზღვრავენ წანამატების, დანამატების, პრემიებისა და მასტიმულირებელი ხასიათის სხვა მისაცემლების სახეობებსა და ოდენობას, შეაქვთ ერთდროული წახალისება ნამსახურობის წლებისათვის, უნარჩუნებენ საწარმოებს ამ მიზნით წინათ გამოყოფილ სახსრებს.

მუშაკთა შესაბამისი პროფესიულ-კვალიფიციური ჯგუფებისათვის განაკვეთებისა და სარგოების, აგრეთვე წანამატების, დანამატებისა და პრემიების კონკრეტულ ოდენობას განსაზღვრავენ საწარმოებში კოლექტიური ხელშეკრულებების (სატარიფო შეთანხმებების) პირობებით.

აღნიშნული უფლებები ხორციელდება შრომის ანაზღაურებისათვის გამოყოფილი სახსრების ხარჯზე და ფარგლებში „სსრ კავშირში საწარმოების შესახებ", „საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების გადასახადების შესახებ" და „1991 წლის საკავშირო ბიუჯეტის შესახებ" სსრ კავშირის კანონების შესაბამისად. ამასთან, 1991 წელს მოხმარების ფონდის გამოანგარიშებისათვის მიღებული შრომის ანაზღაურების საბაზო ფონდი იზრდება ამ დადგენილების მეთოთხმეტე პუნქტით გათვალისწინებული განაკვეთებისა და სარგოების მინიმალური მომატების თანაბრად.

საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც ბიუჯეტებიდან ფინანსდებიან, აღნიშნულ უფლებებს ახორციელებენ ამ მიზნით გამოყოფილი სახსრების ფარგლებში.

17. დაწესდეს, რომ ამ დადგენილებით გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების მინიმალური დონის სახელმწიფო გარანტიები და განაკვეთებისა და სარგოების მომატების წესი ვრცელდება მუშაკებზე, რომლებსაც შრომითი ურთიერთობა აქვთ დამყარებული დაქირავების პირობებით საკუთრების ყველა ფორმის საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან.

18. გაეზარდოთ ხელფასი განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და საარქივო დაწესებულებების წამყვანი პროფესიების მუშაკებს, მიუახლოვდეს იგი საწარმოო დარგების მუშაკთა შრომის ანაზღაურების დონეს.

ფასების მომატებასთან დაკავშირებით უპირატესი კომპენსაცია მიეცეთ აღნიშნული დარგების მუშაკებს (ისევე, როგორც სხვა დარგების მუშაკებს) სატარიფო განაკვეთებისა და სარგოების სპეციალური დანამატების სახით თვეში 60 მანეთის ოდენობით ცალკე უწყისის მიხედვით.

სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა დაამტკიცოს აღნიშნულ კატეგორიათა მუშაკების სატარიფო განაკვეთებისა და სარგოების ახალი ოდენობანი, ამასთან მხედველობაში იქონიოს, რომ მათ საშუალოდ 1,6-1,7-ჯერ გაუზარდოს (ამ დადგენილების 14 პუნქტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესაბამისად) ისინი სსრ კავშირის მთავრობის ან მისი დავალებით სხვა ორგანოების წინათ დადგენილი გადაწყვეტილებების წინააღმდეგ.

19. რესპუბლიკათა მთავრობებს შეუძლიათ გაზარდონ ხელფასის (300 მანეთი) ზღვრული ოდენობა კოეფიციენტების (რაიონული, მაღალი მთის, უდაბნო და უწყლო რაიონებში მუშაობისათვის) და ქვეყნის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ რეგიონებში მუშაობის უწყვეტი სტაჟისათვის ხელფასის პროცენტული დანამატების დასარიცხად მოსახლეობის შემოსავლის მომატების გარანტიათა ოდენობით რესპუბლიკების მიერ დადგენილ ფასების ზრდასთან დაკავშირებით.

ბავშვებიან ოჯახებს

20. იმ მიზნით, რომ ცხოვრების დონე შენარჩუნებული ჰქონდეთ ბავშვებიან ოჯახებს, საშუალოდ 1,6-1,8-ჯერ გაეზარდოთ ასეთ ოჯახებს სოციალურ დახმარებათა მოქმედი ოდენობა, აგრეთვე დაუწესდეთ სპეციალური კომპენსაციები 16 წლამდე ასაკის ბავშვებს, რომლებიც წინათ არ იღებდნენ დახმარებებს, აგრეთვე 18 წლამდე ასაკის მოსწავლეებს, რომლებიც სტიპენდიებს არ იღებენ.

21. მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ შენარჩუნებული იყოს სოციალური გადასახდელების ოდენობის დარიცხვის არსებული წესი მინიმალური ხელფასის დადგენილი ოდენობისადმი პროცენტულად. ამიერიდან მინიმალური ხელფასის ახალი დონის დამტკიცებამდე დადგინდეს ბავშვებიანი ოჯახებისათვის მოქმედი დახმარებების მინიმალურ ოდენობათა შემდეგი სახელმწიფო გარანტიები:

ა) 250 მანეთი — ერთდროული დახმარება ყოველი ბავშვის დაბადების დროს;

ბ) 110 მანეთი — ყოველთვიური დახმარებები:

ბავშვის მოვლისათვის, სანამ იგი წლინახევრის ასაკს მიაღწევდეს, ერთი წლის მუშაობის სტაჟის მქონე მომუშავე დედებს (ქალებს, რომლებსაც არ შესრულებიათ 18 წელი, — სტაჟის მიუხედავად), აგრეთვე წარმოებას მოწყვეტით მოსწავლე დედებს. ორი ან მეტი ბავშვის დაბადების დროს დახმარება მიეცეს ყოველი ბავშვისათვის;

ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა ბავშვებს;

მეურვეობაში (მზრუნველობაში) მყოფ ბავშვებს;

მარტოხელა დედებს (ქვრივებს — ქალებს და მამაკაცებს), საბავშვო სახლების (სკოლა-ინტერნატების) ყოფილ აღსაზრდელთა რიცხვიდან;

ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით ინფიცირებულ ანუ შიდსით დაავადებულ 16 წლამდე ასაკის ბავშვებს:

გ) 90 მანეთი — ყოველთვიური დახმარება:

მარტოხელა დედებს, რომლებსაც 6-დან 16 წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ (მოსწავლეებს, რომლებიც სტიპენდიას არ იღებენ, — 18 წლამდე);

6-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებს, რომელთა მშობლები თავს არიდებენ ალიმენტების გადახდას, ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, როცა ალიმენტების გადახდევინება შეუძლებელია;

დ) 80 მანეთი — ყოველთვიური დახმარებები:

ბავშვის მოვლისათვის, სანამ იგი წლინახევრის ასაკს მიაღწევდეს, მომუშავე ქალებს, რომლებსაც არა აქვთ ერთი წლის მუშაობის სტაჟი, და არმომუშავე ქალებს. ორი და მეტი ბავშვის დაბადების დროს დახმარება ეძლევათ თითოეული ბავშვისათვის;

წლინახევრიდან 6 წლამდე ასაკის ბავშვებს. ამასთან ერთიორად გაიზარდოს ოჯახის წევრების ერთობლივი შემოსავლის ზღვარი, რომელიც დახმარების მიღების უფლებას იძლევა; დაწესდეს იგი მინიმალური ხელფასის ოთხმაგი ოდენობით;

მარტოხელა დედებს, რომლებსაც 6 წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ;

6 წლამდე ასაკის ბავშვებს, რომელთა მშობლები თავს არიდებენ ალიმენტების გადახდას, ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, როცა ალიმენტების გადახდევინება შეუძლებელია.

22. დაუწესდეთ ყოველთვიური გადასახდელები ბავშვებს, რომლებიც არ იღებენ დახმარებებსა და პენსიებს სოციალური უზრუნველყოფის მოქმედი სისტემით, 40 მანეთის ოდენობით 16 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის (მოსწავლეებს, რომლებიც არ იღებენ სტიპენდიებს, — 18 წლამდე).

23. დაუწესდეთ გადასახდელი კომპენსაციები არასრულწლოვან ბავშვებიან ოჯახებს საბავშვო ასორტიმენტის საქონლის არსებით გაძვირებასთან დაკავშირებით შემდეგი ოდენობით ერთ წელზე გაანგარიშებით:

6 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის — სულ ცოტა 200 მანეთი;

6-დან 13 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის — სულ ცოტა 240 მანეთი;

13-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის — სულ ცოტა 280 მანეთი.

რეკომენდებულია აღნიშნული კომპენსაციის გადახდა განხორციელდეს ყოველკვარტალურად თანაბარწილად.

24. ამ დადგენილების 21-ე, 22-ე და 23-ე პუნქტებით დაწესებული კომპენსაციები ეძლევა ძირითად სამუშაო ადგილას დედას, ხოლო თუ დედა არ მუშაობს — იგი მიეცემა ძირითად სამუშაო ადგილას მამას ან მშობელთა შემცვლელ პირს. სხვა შემთხვევებში კომპენსაციის გადახდა მოხდება სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებში ბავშვის მშობლების ან მშობელთა შემცვლელი პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამ დადგენილების 22-ე და 23-ე პუნქტებით დაწესებული მისაცემლები ეძლევათ ბავშვებიან ოჯახებს, რომელთა ერთობლივი შემოსავალი ოჯახის წევრზე არ აღემატება მინიმალური ხელფასის ოთხმაგ ოდენობას.

მისაცემი დახმარებებისა და კომპენსაციების გადახდა ერთდროულად ხდება.

მისაცემლები ეძლევათ სახსრების ხარჯზე:

ა) საპენსიო ფონდისა:

ყოველთვიური დახმარებები ბავშვის მოვლისათვის, სანამ იგი წლინახევრის გახდებოდეს, და დახმარებები წლინახევრიდან 6 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის;

დახმარებები ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა ბავშვებისათვის;

ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით ინფიცირებული ანუ შიდსით დაავადებული 16 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის;

ბ) ყოველი ბავშვის დაბადებისას სოციალური დაზღვევის ერთდროული დახმარების ფონდისა;

გ) რესპუბლიკური ბიუჯეტებისა:

ბავშვებისათვის ყოველთვიური დახმარებები მარტოხელა დედებს (ქვრივებს — ქალებს და მამაკაცებს) საბავშვო სახლების (სკოლა-ინტერნატების) ყოფილ აღსაზრდელთა რიცხვიდან; მარტოხელა დედებს, რომლებსაც 6-დან 16 წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ (მოსწავლეებს, რომლებიც სტიპენდიას არ იღებენ, — 18 წლამდე), და 6 წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ;

ყოველთვიური გადასახდელები ბავშვებისათვის, რომლებიც არ იღებენ დახმარებებსა და პენსიებს სოციალური უზრუნველყოფის მოქმედი სისტემით;

არასრულწლოვან ბავშვებიან ოჯახებს გადასახდელები საბავშვო ასორტიმენტის საქონლის არსებით გაძვირებასთან დაკავშირებით;

დ) ადგილობრივი ბიუჯეტებისა — ყოველთვიური დახმარებები ბავშვებისათვის, რომლებიც მეურვეობაში (მზრუნველობაში) იმყოფებიან. მისაცემლებს გასცემენ სახალხო განათლების ორგანოები.

დახმარებებს იმ ბავშვებს, რომელთა მშობლები თავს არიდებენ ალიმენტებს, ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, როცა ალიმენტების გადახდევინება შეუძლებელია, უხდიან არასრულწლოვანი ბავშვებისათვის დროებითი დახმარებების გადასახდელად ნავარაუდევი სახსრების ხარჯზე.

მოსწავლე ახალგაზრდობას

25. როგორც საცალო ფასების ზრდის კომპენსაცია, გაეზარდოთ სტიპენდიათა ოდენობა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს, საშუალო სპეციალური და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებს, ამასთან შეუნარჩუნდეთ წანამატების აბსოლუტური ოდენობა სწავლაში წარმატებებისათვის, რომლებსაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1990 წლის 7 აპრილის № 330 დადგენილების შესაბამისად უხდიან სტიპენდიის დამატებით.

დაუწესდეთ სტიპენდიები უმაღლეს სასწავლებლებში:

კარგ სტუდენტებს 120 მანეთის ოდენობით თვეში, მათ შორის იმათ, ვისაც მხოლოდ კარგი, აგრეთვე მხოლოდ კარგი და ფრიადი შეფასებები აქვთ, — 135 მანეთი, ხოლო იმათ, ვისაც მხოლოდ ფრიადი შეფასებები, — 150 მანეთი თვეში;

ობოლი ბავშვებისა და მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვების რიცხვიდან სტუდენტებს 160 მანეთის ოდენობით თვეში, მათ შორის სტუდენტებს, რომლებსაც მხოლოდ კარგი, აგრეთვე მხოლოდ კარგი და ფრიადი შეფასებები აქვთ, — 185 მანეთი, ხოლო იმათ, ვისაც ფრიადი შეფასებები აქვთ, — 210 მანეთი თვეში.

ობოლი ბავშვებისა და მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვების რიცხვიდან სტუდენტებს, რომლებიც სახელმწიფოს კმაყოფაზე იმყოფებიან, 100 მანეთის ოდენობით თვეში, მათ შორის იმ სტუდენტებს, რომლებსაც მხოლოდ კარგი, აგრეთვე მხოლოდ კარგი და ფრიადი შეფასებები აქვთ, — 115 მანეთი, იმათ კი, ვისაც მხოლოდ ფრიადი შეფასებები აქვთ, 130 მანეთი თვეში;

სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებების შესაბამისად სრულ სახელმწიფო უზრუნველყოფაზე მყოფ სტუდენტებს — 50 მანეთის ოდენობით თვეში, მათ შორის იმ სტუდენტებს, რომლებსაც მხოლოდ კარგი, აგრეთვე მხოლოდ კარგი და ფრიადი შეფასებები აქვთ, — 65 მანეთი, იმათ კი, ვისაც მხოლოდ ფრიადი შეფასებები აქვთ, — 80 მანეთი თვეში;

ინტერნაციონალური მოვალეობის შესრულების დროს მიღებული ჭრილობების, კონტუზიის, სახიჩრობის ან დაავადების შედეგად დაინვალიდებულ ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან სტუდენტებს — 180 მანეთის ოდენობით თვეში, მათ შორის იმ სტუდენტებს, რომლებსაც მხოლოდ კარგი, აგრეთვე მხოლოდ კარგი და ფრიადი შეფასებები აქვთ, — 195 მანეთი, იმათ კი, ვისაც მხოლოდ ფრიადი შეფასებები აქვთ, — 210 მანეთი თვეში;

მოსამზადებელ განყოფილებათა მოსწავლეებს — თვეში 80 მანეთის ოდენობით.

სტუდენტებს, რომლებიც სამხედრო მომზადებას გადიან უმაღლეს სასწავლებლებში თადარიგის ოფიცერთა პროგრამით, სტიპენდიის დანამატი ეძლევათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1990 წლის 7 აპრილის №330 დადგენილებით დაწესებულ სტიპენდიათა ოდენობის საფუძველზე.

დაუწესდეთ სტიპენდიები საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში:

კარგ მოსწავლეებს თვეში 100 მანეთის ოდენობით, მათ შორის მოსწავლეებს, რომლებსაც აქვთ მხოლოდ კარგი, აგრეთვე მხოლოდ კარგი და ფრიადი შეფასებანი, — 110 მანეთი, ხოლო მხოლოდ ფრიადი შეფასებანი, — 125 მანეთი თვეში;

მოსწავლეებს ობოლ ბავშვთა და მშობელთა მეურვეობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა რიცხვიდან თვეში 160 მანეთის ოდენობით, მათ შორის მოსწავლეებს, რომლებსაც მხოლოდ კარგი, აგრეთვე მხოლოდ კარგი და ფრიადი შეფასებანი აქვთ, — 185 მანეთი, ხოლო მხოლოდ ფრიადი შეფასებანი — 210 მანეთი თვეში;

მოსწავლეებს, ობოლ ბავშვთა და მშობლების მეურვეობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა რიცხვიდან, რომლებიც სახელმწიფო უზრუნველყოფაზე იმყოფებიან, თვეში 80 მანეთის ოდენობით, მათ შორის მოსწავლეებს, რომლებსაც მხოლოდ კარგი, აგრეთვე მხოლოდ კარგი და ფრიადი შეფასებანი აქვთ, — 90 მანეთი, ხოლო მხოლოდ ფრიადი შეფასებანი — 105 მანეთი თვეში;

მოსწავლეებს, რომლებიც სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სრულ სახელმწიფო უზრუნველყოფაზე არიან, თვეში 40 მანეთის ოდენობით, მათ შორის მოსწავლეებს, რომლებსაც მხოლოდ კარგი, აგრეთვე მხოლოდ კარგი და ფრიადი შეფასებანი აქვთ, — 50 მანეთი, ხოლო მხოლოდ ფრიადი შეფასებანი, — 65 მანეთი თვეში;

მოსწავლეებს ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომლებიც დაინვალიდდნენ ინტერნაციონალური ვალის მოხდისას მიღებული ჭრილობების, კონტუზიის, სახიჩრობის ან დაავადებათა შედეგად, თვეში 180 მანეთის ოდენობით, მათ შორის მოსწავლეებს, რომლებსაც აქვთ მხოლოდ კარგი, აგრეთვე მხოლოდ კარგი და ფრიადი შეფასებანი, — 195 მანეთი, ხოლო მხოლოდ ფრიადი შეფასებანი, — 210 მანეთი თვეში.

დაუწესდეთ სტიპენდიები პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში:

კარგ სტუდენტებს ყველა ტიპის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში (იმათ გარდა, რომლებსაც ამზადებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, წყალსამეურნეო მშენებლობასა და სატყეო მეურნეობაში სამუშაოდ), სადაც სწავლების ვადა სულ ბევრი 10 თვეა, 80 მანეთის ოდენობით თვეში, მათ შორის მოსწავლეებს, რომლებსაც აქვთ მხოლოდ კარგი, აგრეთვე მხოლოდ კარგი და ფრიადი შეფასებანი, — 90 მანეთი, ხოლო მხოლოდ ფრიადი შეფასებანი, — 100 მანეთი თვეში, ხოლო მოსწავლეებს დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა და იმ პირთა ბავშვების რიცხვიდან, რომლებიც დიდი სამამულო ომის 1-ლი და მე-2 ჯგუფების ინვალიდებს უთანაბრდებიან, თვეში 90 მანეთის ოდენობით, მათ შორის მოსწავლეებს, რომლებსაც აქვთ მხოლოდ კარგი, აგრეთვე მხოლოდ კარგი და ფრიადი შეფასებანი, — 100 მანეთი, ხოლო მხოლოდ ფრიადი შეფასებანი, — 110 მანეთი თვეში.

ყველა ტიპის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, სადაც სწავლების ვადა სულ ცოტა 10 თვეა, კარგ მოსწავლეებს, რომლებიც სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად უზრუნველყოფილი არიან ფორმის ტანსაცმლით და კვებით, თვეში 40 მანეთის ოდენობით, მათ შორის მოსწავლეებს, რომლებსაც მხოლოდ კარგი, აგრეთვე მხოლოდ კარგი და ფრიადი შეფასებანი აქვთ, — 45 მანეთი თვეში, ხოლო მხოლოდ ფრიადი შეფასებანი, — 50 მანეთი თვეში; დაოჯახებულ მოსწავლეებს — 50 მანეთი თვეში, ხოლო მოსწავლეებს, რომლებსაც აქვთ მხოლოდ კარგი, აგრეთვე მხოლოდ კარგი და ფრიადი შეფასებანი, — 55 მანეთი, ხოლო მხოლოდ ფრიადი შეფასებანი, — 60 მანეთი თვეში; მოსწავლეებს დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა და იმ პირთა ბავშვების რიცხვიდან, რომლებიც დიდი სამამულო ომის 1-ლი და მე-2 ჯგუფების ინვალიდებს უთანაბრდებიან, თვეში 60 მანეთის ოდენობით, მათ შორის მოსწავლეებს, რომლებსაც აქვთ მხოლოდ კარგი, აგრეთვე მხოლოდ კარგი და ფრიადი შეფასებანი, — 70 მანეთი, ხოლო მხოლოდ ფრიადი შეფასებანი, — 85 მანეთი თვეში; დაოჯახებულ მოსწავლეებს თვეში 70 მანეთის ოდენობით, მათ შორის მოსწავლეებს, რომლებსაც აქვთ მხოლოდ კარგი, აგრეთვე მხოლოდ კარგი და ფრიადი შეფასებანი, — 80 მანეთი, ხოლო მხოლოდ ფრიადი შეფასებანი, — 95 მანეთი თვეში;

მოსწავლეებს ობოლ ბავშვთა და მშობლების მეურვეობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა რიცხვიდან, რომლებიც სახელმწიფო უზრუნველყოფაზე იმყოფებიან, თვეში 80 მანეთის ოდენობით, მათ შორის მოსწავლეებს, რომლებსაც მხოლოდ კარგი, აგრეთვე მხოლოდ კარგი და ფრიადი შეფასებანი აქვთ, — 90 მანეთი, ხოლო მხოლოდ ფრიადი შეფასებანი, — 105 მანეთი თვეში.

გაუდიდდეთ სტიპენდიის მოქმედი ოდენობანი ასპირანტებსა და დოქტორანტებს თვეში 60 მანეთის ოდენობით.

დაწესდეს, რომ მოსწავლე ახალგაზრდობას, რომელიც იღებს სტიპენდიებს, რომელთა ახალი ოდენობანი არ არის განსაზღვრული ამ დადგენილებით, ეძლევათ კომპენსაცია: უმაღლეს სასწავლებლებში — 60 მანეთი თვეში და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში — 55 მანეთი თვეში. სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან ერთად მოამზადონ და ერთი თვის ვადაში წარუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა კაბინეტს წინადადებანი აღნიშნული კატეგორიის ახალგაზრდობის სტიპენდიათა ოდენობის შესახებ.

პენსიონერებს, ინვალიდებსა და მარჩენალდაკარგული ოჯახების წევრებს

26. ფასების ზრდის კომპენსაციის მიზნით გაუდიდდეთ არმომუშავე პენსიონერებს მოხუცებულობის, ნამსახურობის, ინვალიდობის, მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიები, სოციალური პენსიები, აგრეთვე ოჯახის იმ შრომისუუნარო წევრებზე დანამატები, რომლებიც არმომუშავე პენსიონერების კმაყოფაზე არიან და არ იღებენ კომპენსაციებს სხვა საფუძველთა მიხედვით, თვეში 65 მანეთის ოდენობით.

ობოლ ბავშვებს გაუდიდდეთ მარჩენალდაკარგულის პენსიები აღნიშნული მომატების ორმაგი ოდენობით.

გადასახდელების კომპენსაციები საცალო ფასების რეფორმასთან დაკავშირებით მომუშავე პენსიონერებს მიეცეთ მუშა-მოსამსახურეებისათვის დადგენილი წესით.

სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ სსრ კავშირის პროფკავშირთა საყოველთაო კონფედერაციის, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მონაწილეობით ერთი თვის ვადაში წარმოადგინონ წინადადებანი საშუალო თვიური ხელფასის გამოანგარიშების წესის შესახებ, რათა დაინიშნოს პენსიები საცალო ფასების მომატების კომპენსაციასთან დაკავშირებით სატარიფო განაკვეთებისა და თანამდებობრივი სარგოების გადიდების გამო, აგრეთვე გადასახდელი კომპენსაციების შემოღების გათვალისწინებით სამხედრო მოსამსახურეებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების რიგითი და უფროსთა შემადგენლობის პირებისათვის პენსიების გამოანგარიშების წესის შესახებ.

27. რესპუბლიკების მთავრობებმა განიხილონ საკითხი რესპუბლიკური ბიუჯეტების გასავლის სახსრებით იმ ხარჯების კომპენსაციის ოდენობისა და წესის შესახებ, რომლებიც შეეხება მოქმედი კანონმდებლობით ინვალიდებისათვის დადგენილი სოციალურ-საყოფაცხოვრებო შეღავათების რეალიზაციას, მათ შორის სატრანსპორტო საშუალებათა შეძენის ნაწილში, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებათა კაპიტალურ რემონტს ომისა და შრომის ვეტერანებისათვის, სხვა კატეგორიათა მოქალაქეებისათვის, აგრეთვე ამასთან დაკავშირებით შესაბამის ორგანოებს (ორგანიზაციებს) შორის ანგარიშსწორების წესის შესახებ.

28. რეკომენდაცია მიეცეთ რესპუბლიკების მთავრობებსა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს შეავსონ მოსახლეობის ხელმოკლე ფენებისათვის ფულადი კომპენსაციები სხვადასხვა სახეობის სოციალური დახმარებით (მათ შორის ნატურალურით) — მიანიჭონ შეღავათები დაბეგვრის, კომუნალური და სოციალური მომსახურების გაწევის დროს, გამოუყონ მიწის ნაკვეთები, საბაღე სახლები შეღავათიანი პირობებით, მისცენ სასურსათო და პირველი საჭიროების სამრეწველო საქონლის ნაკრები, განსაკუთრებით ბავშვებს, ინვალიდებს, პენსიონერებსა და მოსახლეობის სხვა სოციალურად დაუცველ ფენებს მათი ღირებულების ნაწილობრივი კომპენსაციით და უფასოდ, გადაიხადონ ინვალიდებისა და ხანდაზმულებისათვის სპეციალური დანიშნულების წამლებისა და საქონლის ანგარიშები, უზრუნველყონ უფასო კვებით, მიანიჭონ შეღავათები საქალაქო და საგარეუბნო ტრანსპორტით სარგებლობისათვის და გაუწიონ სხვა სახეობათა დახმარება.

სამხედრო მოსამსახურეებს

29. გაუდიდდეთ 1991 წლის 1 მაისიდან თანამდებობრივი სარგოების ოდენობანი:

ოფიცერთა შემადგენლობის პირებს, პრაპორშჩიკებს, მიჩმანებს, ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებს თვეში 80 მანეთის ოდენობით, შინაგან საქმეთა ორგანოების რიგითს და უფროსთა შემადგენლობას — თვეში 60 მანეთის ოდენობით;

ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებს, სუვოროველებს, ნახიმოველებს, მუსიკოს აღსაზრდელებსა და კურსანტებს — თვეში 20 მანეთის ოდენობით, სამხედრო სასწავლებლების მსმენელებს, რომლებსაც არა აქვთ ოფიცრის წოდებანი, თვეში 60 მანეთის ოდენობით.

სახელმწიფო საცალო ფასების მომატების დღიდან და 1991 წლის 1 მაისამდე პერიოდში ამ პირებს ეძლევათ ფულადი კომპენსაცია აღნიშნულ ოდენობათა გათვალისწინებით.

სამხედრო მშენებლებს კომპენსაცია ეძლევათ თვეში 60 მანეთის ოდენობით.

30. გაუდიდდეთ სასურსათო, სანივთე, სამედიცინო და სხვა სახეობათა მატერიალური უზრუნველყოფის ხარჯები სამხედრო მოსამსახურეებს, სამხედრო მშენებლებს, რიგითს და უფროსთა შემადგენლობას, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს რკინიგზის ჯარებისა და სამხედრო-აღდგენითი სამმართველოს მუშა-მოსამსახურეებს, პენსიონერებს ისეთი ოდენობით, რომელიც ანაზღაურებს ამ სახეობის მატერიალური უზრუნველყოფის ფასების მომატებას.

31. მიეცეთ გადასახდელი კომპენსაციები სამხედრო მოსამსახურეების, შინაგან საქმეთა ორგანოების რიგითი და უფროსთა შემადგენლობის არმომუშავე ცოლებს ცალკეულ გარნიზონებსა და ადგილებში, სადაც არ არის მათი შრომითი მოწყობის შესაძლებლობა (ცალკეულ გარნიზონებსა და ადგილებში დისლოცირებულთა რიცხვისათვის შინაგან საქმეთა ჯარის ნაწილების, დაწესებულებების, ორგანოების მიკუთვნების წესსა და პირობებს ადგენენ სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტრო, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით).

აღნიშნულ პირთა არმომუშავე ცოლებს გადასახდელი კომპენსაციები ეძლევათ თვეში 60 მანეთის ოდენობით ქმრის სამსახურის ადგილზე.

32. სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მუშა-მოსამსახურეებს, არმომუშავე და მომუშავე პენსიონერებს გადასახ-

(დასასრული მე-3 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს

ბატონ ზვიად გამსახურდიას

მოხსენებითი ბარათი

აფხაზეთის ასსრ-ში 1991 წლის 17 მარტს სსრკ-ის შენარჩუნების თაობაზე ჩატარებული საკავშირო რეფერენდუმის კანონიერების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ შეამოწმა აფხაზეთის ასსრ-ში 1991 წლის 17 მარტს სსრკ-ის შენარჩუნების თაობაზე ჩატარებული საკავშირო რეფერენდუმის კანონიერება.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ აღნიშნული რეფერენდუმი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მომზადდა და ჩატარდა როგორც საკავშირო, ასევე საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის უხეში დარღვევებით, რაც გამოიხატა შემდეგით:

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს 1991 წლის 16 იანვრის დადგენილებით მიმდინარე წლის 17 მარტს დანიშნული იქნა საკავშირო რეფერენდუმი სსრკ-ის, როგორც თანასწორ, სუვერენულ რესპუბლიკათა განახლებული ფედერაციის, შენარჩუნების შესახებ.

საქართველოს უზენაესმა საბჭომ კანონით განსაზღვრული წესით უარი თქვა საკავშირო რეფერენდუმში მონაწილეობის მიღებაზე.

მიუხედავად ამისა, აფხაზეთის ასსრ უზენაესმა საბჭომ ა. წ. 28 თებერვალს მიიღო დადგენილება ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 17 მარტს საკავშირო რეფერენდუმის ჩატარების შესახებ.

ამავე დადგენილების თანახმად ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიის მოვალეობის შესრულება დაეკისრა სსრკ სახალხო დეპუტატის არჩევნების ქ. სოხუმის №669 საოლქო საარჩევნო კომისიას (თავმჯდომარე ე. ე. კაპბა), რომელიც ატარებდა დასახელებულ ოლქში 17 მარტს ახალ არჩევნებს გამოკლებული დეპუტატის ნაცვლად. ანალოგიურად ქალაქებსა და რაიონებში შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიებს დაევალათ რეფერენდუმის ჩატარება.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ დასახელებული კომისიების ფორმირებისა და ფუნქციონირების დროს დაშვებული იყო კანონიერების სერიოზული დარღვევები. კერძოდ, საუბნო საარჩევნო კომისიათა მნიშვნელოვანი რაოდენობა ისე იქნა დამტკიცებული ადგილობრივი საბჭოს აღმასკომების მიერ, რომ მათ არ გააჩნდათ შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინადადებანი და შუამდგომლობები ამ კომისიათა შემადგენლობის თაობაზე, რითაც უხეშად იქნა უგულებელყოფილი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ სსრკ კანონის 26-ე მუხლის მოთხოვნები, მაგალითად, გაგრის საქალაქო საბჭოს აღმასკომზე დამტკიცებული 44 საუბნო საარჩევნო კომისიიდან 24 მათგანზე არ არსებობს დოკუმენტაცია (ოქმები, სიები) კომისიის წევრთა წარდგენების შესახებ.

ანალოგიურად, სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ შექმნილი 56 საუბნო საარჩევნო კომისიიდან მხოლოდ სამ მათგანზეა ოქმები შრომითი კოლექტივებიდან კომისიის წევრთა არჩევის შესახებ, ხოლო დანარჩენ კომისიათა შექმნაზე წარმოდგენილია სიები, საიდანაც გარკვეული რაოდენობა არასრულყოფილია, რადგან არ გააჩნიათ ოფიციალური დოკუმენტის სახე (შედგენილია უბრალო ქაღალდის ფურცელზე, შტამპის, ყოველგვარი ხელმოწერის, თარიღის, კომისიის თავმჯდომარის, მისი მოადგილის და მდივნის გვარების აღნიშვნის გარეშე). ასეთი დარღვევებით შეიქმნა ქ. სოხუმში №16, 34, 18, 19, 48, 54, 55 და სხვ. საუბნო საარჩევნო კომისიები.

გამოვლენილია მრავალრიცხოვანი ფაქტები აღმასკომების მიერ უკვე დამტკიცებული საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა შემადგენლობაში თვითნებური ცვლილებებისა, რის შედეგადაც რეფერენდუმის ხმის მიცემის შემაჯამებელ ოქმებზე ხელს აწერენ უცხო პირები, რომლებიც არ ყოფილან შეყვანილი და დამტკიცებული შესაბამის კომისიათა შემადგენლობაში. მაგალითად, ქ. სოხუმის №17 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა კ. გ. ქრისტესიაშვილის, ა. რ. აგრბას, კ. ს. ინაპშბას ნაცვლად ოქმს ხელს აწერენ ზ. გ. შელიგინა, ნ. ა. ხაგუში, ი. ა. ხვარცკია. № 19 საარჩევნო უბნის კომისიის წევრთა ს. ა. შაროიანის და მ. ა. ნარუაშვილის მაგივრად ოქმში ი. დომაშენკოს და გ. ჯულიხიძის ხელმოწერებია. №54 უბანში კომისიის წევრთა ე. ოზეროვას და ზ. ნესტეროვას ნაცვლად ოქმზე ხელი აქვთ მოწერილი ზ. ძიგუას და ა. შელიას.

ანალოგიურ უკანონობებს ადგილი ჰქონდათ ქ. სოხუმის №40, 47, 52, 1, 4, 6, 7, 10, 25; 12 და სხვა საუბნო საარჩევნო კომისიებში.

ნაცვლად იმისა, რომ აღმასკომებს დროულად აღეკვეთათ დაშვებული კანონიერების დარღვევები, არცთუ იშვიათად თვითონ გვევლინებოდნენ დარღვევათა ინიციატორებად.

მაგალითად, გაგრის მეთევზეობის კოლმეურნეობის მიერ წამოყენებული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები თვითნებურად შეიცვალნენ ქალაქის საბჭოს აღმასკომის მიერ (ძირითადად აფხაზი ეროვნების წარმომადგენლებით), შრომით კოლექტივთან შეთანხმების გარეშე.

უფრო მეტიც, სიყალბის ნიშნები დგინდება აღმასკომის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიათა შემადგენლობის დამტკიცების დოკუმენტებში: კერძოდ, სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1991 წლის 5 მარტის №105 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ იქნა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების და საკავშირო რეფერენდუმის ჩასატარებლად საუბნო საარჩევნო კომისიათა შემადგენლობები, ფაქტობრივად კი ზოგიერთი საარჩევნო კომისია შეიქმნა ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

მაგალითად, ქ. სოხუმის №10 საარჩევნო უბანი, რომელიც დაკომპლექტდა ექსპერიმენტული პათოლოგიის და თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებისაგან, შეიქმნა 15 მარტს. №42 საარჩევნო უბანი შეიქმნა 8 მარტს, რაზეც აღმასკომს ეცნობა 11 მარტს, ანალოგიურად ქ. სოხუმის №16 საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობა აღმასკომს ეცნობა მხოლოდ ა. წ. 15 მარტს.

დასახელებული ფაქტები მოწმობენ, რომ ცალკეული საუბნო საარჩევნო კომისიები რეალურად შეიქმნა სსრკ უმაღლესი საბჭოს 1991 წლის 25 თებერვლის დადგენილებით განსაზღვრულ ვადათა უხეში დარღვევით, ანუ 7 მარტის შემდეგ, რაზედაც არ იქნა მიქცეული ცენტრალური კომისიის ყურადღება.

ეს მაშინ, როდესაც სსრკ რეფერენდუმის აფხაზეთის ასსრ ცენტრალური რესპუბლიკური კომისიისა და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის არჩევნების სოხუმის №669 ტერიტორიული ოლქის საარჩევნო კომისიის მიერ დოკუმენტაციის დაგვიანებით წარმოდგენის მოტივაციით 1991 წლის 13 მარტს გალის რაიონს უარი ეთქვა რეფერენდუმში მონაწილეობაზე.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიას აღნიშნული ფაქტიურად დასჭირდა აფხაზეთის ამომრჩეველთა საერთო რიცხვიდან მითითებული რაიონის ამომრჩევლების გამოსაკლებად, რითაც ხელოვნურად 52 ათასი კაცით შემცირა ამომრჩეველთა რიცხვი (ძირითადად ქართველი ეროვნების).

შემოწმებით გაირკვა, რომ გალის რაიონში ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით ჯერ კიდევ 7 მარტს შეიქმნა 42 საარჩევნო უბანი და დაზუსტდა ამომრჩეველთა სიები, მაგრამ 13 მარტს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ე. კაპბამ უარი განაცხადა ბიულეტენების გაცემაზე იმ მოტივით, რომ გალის რაიონიდან განაცხადი რეფერენდუმში მონაწილეობის მიღების შესახებ წარდგენილ იქნა გვიან.

უნდა აღინიშნოს, რომ გალის რაიონში რეფერენდუმის მოწყობის ხელოვნურ დეზორგანიზაციას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წლის 28 თებერვალს მიღებულმა უკანონო დადგენილებამ, რომლითაც კანონით განსაზღვრული წესის გვერდის ავლით გალის და ოჩამჩირის რაიონებში საარჩევნო უბნების შექმნა და მათი დამტკიცება ადგილობრივი საბჭოების მაგივრად დაევალა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

ფუნქციების ასეთმა არევამ გამოიწვია გალის რაიონში საარჩევნო კომისიების არადროული შექმნა.

ზემოაღნიშნულმა დარღვევებმა, ცენტრალური რესპუბლიკური კომისიის სრულმა უკონტროლობამ, საუბნო-საარჩევნო კომისიებში შექმნილმა განუკითხაობის ატმოსფერომ, განაპირობა რეფერენდუმის ჩატარების პერიოდში კანონის მოთხოვნათა მრავალრიცხოვანი უგულებელყოფის ფაქტები.

მთელ რიგ საარჩევნო უბნებში კომისიები მუშაობას შეუდგნენ დიდი ხნის დაგვიანებით და არასრული შემადგენლობით.

მაგალითად, სოხუმის რაიონის № 14 საარჩევნო უბანში, სადაც კომისიის შემადგენლობაში დამტკიცებული იყო 9 წევრი, ხმის მიცემა კომისიის წევრთა გამოუცხადებლობის გამო დაიწყო დიდი ხნის დაგვიანებით, უფრო მეტიც, 9-ის ნაცვლად ადგილზე გამოცხადდა მხოლოდ 3 წევრი, ქვორუმის არარსებობის შესახებ ეცნობა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომელმაც გასცა კანონსაწინააღმდეგო მითითება მუშაობის ასეთი შემადგენლობით გაგრძელების თაობაზე. ამრიგად რეფერენდუმის შედეგები შეჯამდა კომისიის დასახელებული სამი წევრის მიერ ისე, რომ არ არსებობდა აუცილებელი ქვორუმი. აღნიშნულთან დაკავშირებით სოხუმის რაისაბჭოს აღმასკომმა 1991 წლის 18 მარტს ოფიციალურად დააყენა საკითხი ცენტრალური კომისიის თავმჯდომარის ე. კაპბას წინაშე, რათა გაუქმებულიყო რეფერენდუმის შედეგები, რაც დღემდე რეაგირების გარეშეა დატოვებული.

ანალოგიურ დარღვევებს ადგილი ჰქონდა ქ. სოხუმის № 27 საარჩევნო უბანში და სხვ.

ხმის მიცემის პროცესში კანონიერების მასობრივ დარღვევებს ბევრად შეუწყო ხელი რეფერენდუმის ჩატარების ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ე. კაპბას პირადმა წერილობითმა განკარგულებამ, რომელიც საარჩევნო უბნებს დაურიგდათ 17 მარტს დღის პირველ ნახევარში, რომლის თანახმადაც ყველა ამომრჩეველს შეეძლო ხმა მიეცა ნებისმიერ საარჩევნო უბანში აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე, ფაქტობრივად ხმის მიცემის უფლების მოწმობის გარეშე. ამ უკანონო მითითებამ. რომელიც ეწინააღმდეგება სსრკ სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ საკავშირო კანონის 35-ე მუხლის მოთხოვნებს, სავსებით გააუქმა კონტროლის ყოველგვარი მექანიზმი, შექმნა რა ხელსაყრელი პირობები იმისათვის, რომ ერთსა და იგივე პირებს რამდენჯერმე მიეცათ ხმა.

მაგალითად, მოქ. მ. ხ. ჩოლოარმა, მცხოვრებმა ქ. სოხუმში ბზიფის შესახვევი № 23, ორჯერ მისცა ხმა საკავშირო რეფერენდუმში შესაბამისად ქ. სოხუმის № 47 და 48 საარჩევნო უბნებში.

გაგრის ზონის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე მცხოვრებმა ე. ვ. შაპოვალოვამ ხმა მისცა, როგორც ღაბა ბიჭვინთის, ასევე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შესაბამის საარჩევნო უბნებში.

უფრო მეტიც, ვ. ნ. მუკმანიანმა, მისი განმარტებით, ხმის მიცემა შეძლო ქ. სოხუმის 8 სხვადასხვა საარჩევნო უბანში (№ 52, 55, 40, 19, 20, 30, 37, 36), ხოლო ასევე ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მოქ. ო. ტ. უბილავამ მოახერხა მიეცა ხმა სსრ კავშირის შენარჩუნებისათვის ქ. სოხუმის №№ 19, 20, 30, 37, 36, 40, 52 საარჩევნო უბნებში.

გულრიფშის რაიონის სოფ. ქელასურის № 13 საარჩევნო უბნის კომისიის წევრთა და ქ. სოხუმის № 27 საარჩევნო უბნის მეთვალყურეთა მიერ 1991 წლის 17 მარტს 18 სთ. და 45 წუთზე შედგენილი აქტიდან ირკვევა, რომ გულრიფშის რაიონში მცხოვრებმა 21 ამომრჩეველმა ხმა მისცა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამასთან მითითებული პირები შეყვანილი იქნენ ქ. სოხუმის № 27 საარჩევნო უბნის დამატებით სიებშიც.

დასახელებული ფაქტის დეტალური შემოწმება ვერ მოხერხდა ამომრჩეველთა სიების უქონლობის გამო, რომლებიც უკანონოდ იქნა გათხოვილი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და მიუხედავად საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის არაერთი წერილობითი თუ სიტყვიერი მოთხოვნისა, არ მოგვეცა საშუალება გავცნობოდით მათ, რის შედეგადაც აგრეთვე შეუძლებელი გახდა იმ მრავალრიცხოვანი შეტყობინებების გადამოწმება, საიდანაც ირკვევა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე საკავშირო რეფერენდუმის ჩატარებისას დაშვებული იყო ფალსიფიცირების მასობრივი ფაქტები, რამაც ხელოვნურად მკვეთრად გაზარდა თითქოსდა რეფერენდუმში მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვი.

აღნიშნული შეტყობინებების საფუძვლიანობაზე მიანიშნებს ის გარემოებაც, რომ რეფერენდუმის ჩატარებისას განმეორებით გაიცა უამრავი ბიულეტენი ვითომდა დამატებით სიებში შეყვანილ პირთათვის. მარტო ქ. სოხუმის საუბნო საარჩევნო კომისიებს განსაზღვრული ნორმის ზევით მიეცათ 7700 ბიულეტენი, მათ შორის № 53 საარჩევნო უბნისათვის 4.000.

ანალოგიური ვითარება დაფიქსირდა ქ. გაგრის, გუდაუთის რაიონის და სხვა ტერიტორიებზე.

რეფერენდუმის მოუმზადებლობის და მისი ჩატარების კანონიერების უხეშ დარღვევებზე მეტყველებენ აგრეთვე მეთვალყურეების მიერ ადგილებზე შედგენილი აქტები იმის თაობაზე, რომ ამომრჩეველთა სიებში შეყვანილი იყვნენ სულით დაავადებულნი, არასრულწლოვანები ან გარდაცვლილი პირები.

დასახელებულ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა ქ. სოხუმის № 27 და № 55 ოჩამჩირის რაიონის № 13, აგრეთვე სხვა საარჩევნო უბნებში. ასეთი ვითარება გარკვეულწილად განაპირობა იმანაც, რომ საარჩევნო კომისიები დაეყრდნენ დაუზუსტებელ, 1989 წლის მოსახლეობის აღწერის სიებს.

შემოწმებით დადასტურდა ისიც, რომ ზოგიერთმა საუბნო საარჩევნო კომისიამ აღმასკომის ხელმძღვანელთა ნებართვით, რაც არაკანონიერი იყო, ხმის მიცემა, ნაცვლად საღამოს 20 საათისა, დაამთავრეს 22 საათზე. ასე მოხდა ქ. სოხუმის № 14 და № 55 საარჩევნო უბნებში.

შემოწმებით დადასტურება ვერ პოვა მონაცემებმა იმის თაობაზე, თითქოსდა რეფერენდუმში მონაწილეობის მსურველთა წინააღმდეგ (ძირითადად აფხაზი ეროვნების) ადგილი ჰქონდა მათი კონსტიტუციური უფლებების მასობრივ შელახვას, ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი ცნობებიდან აღნიშნულზე მოქალაქეთა წერილობითი განცხადება-საჩივრები ამ ორგანოებში არ შესულა. (გარდა მოქ. [illegible]. პივოვაროვის განცხადებისა, რომელიც ამჟამად მოწმდება სოხუმის ტრანსპორტის პროკურატურაში).

ამასთან აღსანიშნავია გუდაუთის რაიონის სოფ. აბგარჰუკში რეფერენდუმის დღეს, 17 მარტს მომხდარი ძალადობის ფაქტი ქართველი ეროვნების ადგილობრივ პირთა მიმართ რეფერენდუმში მონაწილეობის მიუღებლობისათვის, რამაც კიდევ უფრო დაძაბა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება რეგიონში და რასაც შედეგად ისიც მოჰყვა, რომ რამდენიმე ათეული ქართველის ოჯახი აიყარა გუდაუთის რაიონიდან და თავი შეაფარა გულრიფშის რაიონის ტერიტორიას.

აღნიშნულ ძალადობის ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება.

შემოწმების შედეგად გამოვლენილი სსრ კავშირის, საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის მასობრივ დარღვევათა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები იძლევიან საფუძველს 1991 წლის 17 მარტს აფხაზეთის ასსრ-ში ჩატარებული საკავშირო რეფერენდუმის შედეგების გაუქმებისათვის სსრ კავშირის რეფერენდუმის შესახებ საკავშირო კანონის 25-ე მუხლის საფუძველზე.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბევრი სიგნალი ხმის მიცემისას მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის თაობაზე ვერ იქნა ბოლომდე გადამოწმებული იმის გამო, რომ რეფერენდუმის ჩატარებასთან დაკავშირებული მთელი რიგი ძირითადი დოკუმენტების (ამომრჩეველთა სიები, როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი, ხმის მიცემის შედეგების ოქმის ასლები, ბიულეტენები და სხვა) წინასწარ იქნა ამოღებული ცენტრალური რესპუბლიკური საარჩევნო კომისიების მიერ ადგილობრივი საბჭოს აღმასკომებიდან, მაშინ, როდესაც თანახმად არსებული წესისა, ისინი უნდა ინახებოდეს აღმასკომებში, ხოლო გუდაუთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ უარი განაცხადა იმ ზოგიერთი დოკუმენტის წარმოდგენაზე, რომლებიც მასთან ინახებოდა.

ვ. გვარამია,
საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე.

საცალო ფასების რეფორმისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის შესახებ

(დასასრული).

ელი კომპენსაციები ეძლევათ სახალხო მეურნეობის მუშაკებისა და პენსიონერებისათვის დადგენილი წესითა და პირობებით.

33. სამხედრო მოსამსახურეებისათვის, აგრეთვე რიგითი და უფროსთა შემადგენლობისათვის ფულადი კმაყოფის გადიდება, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს რკინიგზის ჯარებისა და სამხედრო-აღდგენითი სამმართველოს მუშა-მოსამსახურეებისათვის ხელფასის, არამომუშავე პენსიონერებისათვის პენსიების მომატება, ამ კატეგორიათა ბავშვიანი ოჯახებისათვის დახმარების გაცემა ხდება ამ დადგენილებით დადგენილი წესითა და ოდენობით, რესპუბლიკური სამთავრობო ორგანოების მიერ ამ საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა გათვალისწინებით.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ აღნიშნულ სამინისტროებთან და კომიტეტთან ერთად განსაზღვროს კომპენსაციათა გაცემის წესი, ოდენობა და პირობები.

უმუშევრებს

34. მოქალაქეებს, რომლებმაც დაკარგეს სამუშაო და ხელფასი (შრომითი შემოსავალი) და დასაქმების სახელმწიფო სამსახურში აღრიცხული არიან როგორც პირები, რომლებიც სამუშაოს ეძებენ, პროფესიული მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლების ან გადამზადების პერიოდში სტიპენდიის დამატებით ეძლევათ კომპენსაცია თვეში 50 მანეთის ოდენობით სწავლების მთელ პერიოდში.

მოქალაქეებს, რომლებიც დადგენილი წესით უმუშევრებად ითვლებიან, უმუშევრობის დახმარების დამატებით ეძლევათ კომპენსაცია თვეში 50 მანეთის ოდენობით. კომპენსაციის მიცემის ხანგრძლივობა წესდება სსრ კავშირისა და რესპუბლიკების მოსახლეობის დასაქმების შესახებ კანონმდებლობის საფუძვლების 28-ე მუხლის შესაბამისად.

სხვა საკომპენსაციო ღონისძიებანი

35. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსთან, სსრ კავშირის სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად უნდა გაადიდოს იმ ხარჯების ფულადი ნორმები, რომლებიც ხმარდება კვებას, რბილი ინვენტარისა და ფორმის ტანსაცმლის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საგნების შეძენას და სასწავლო მიზნებს საავადმყოფოებში, პოლიკლინიკებში, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებში, სკოლებში, საბავშვო სახლებსა და ინტერნატებში, ღრმად მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატებსა და სხვა ორგანიზაციებში, რომლებიც საკავშირო გამგებლობაში შედიან უზრუნველყონ ამ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა დროული დაფინანსება გადიდებული ნორმების შესაბამისად.

რეკომენდაცია მიეცეს რესპუბლიკების მთავრობებს უზრუნველყონ ანალოგიური მუშაობის დროული განხორციელება აღნიშნული დაწესებულებებისათვის, რომლებსაც რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან აფინანსებენ.

36. გაუდიდდეთ სატარიფო განაკვეთები და თანამდებობრივი სარგოები შრომაგასწორებით დაწესებულებებში მყოფ პირებს თვეში სულ ცოტა 60 მანეთის ოდენობით. აღნიშნულ პირებს ხელფასის მომატების თანხიდან არ უკავდებათ სახსრები ამ დაწესებულებათა შენახვის ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურებისათვის.

37. იმის გათვალისწინებით, რომ ფასების მომატებასთან დაკავშირებით მოსახლეობისათვის მისაცემი კომპენსაციები მოქალაქეთა შემოსავლის და საწარმოთა მოგების დაბეგვრის სისტემამ არ უნდა გამორიცხოს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ და სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრომ მოამზადონ წინადადებანი „სსრ კავშირის მოქალაქეთა, უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ" სსრ კავშირის კანონში, „საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა გადასახადების შესახებ" სსრ კავშირის კანონში, „საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა გადასახადის შესახებ" სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე" სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ გაიზარდოთ თვიური ხელფასისა და სხვა შემოსავლის ოდენობა მოქალაქეებს, რომლებიც არ ექვემდებარებიან დაბეგვრას, 160 მანეთამდე ჩათვლით და შეუმცირდეთ საშემოსავლო გადასახადის განაკვეთების ოდენობა მოქალაქეებს, თუ შემოსავალი აღემატება თვეში 160 მანეთს, ამასთან გამოყენებულ იქნეს ადრე დადგენილი 700 მანეთის ნაცვლად თვეში 1000 მანეთზე მეტი შემოსავლიდან 13 პროცენტზე მეტი გადასახადების პროგრესიული სკალა.

35 პროცენტამდე შემცირდეს საწარმოებისა და ორგანიზაციების მოგების გადასახადის განაკვეთები, აგრეთვე 480 მანეთამდე გაიზარდოს საწარმოთა ძირითად საქმიანობაში დასაქმებულ მუშაკთა პროდუქციის თვითღირებულებისათვის მიკუთვნებული საშუალო თვიური ხელფასის ზღვრული დონე.

36. მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ სსრ კავშირის სახბანკი და სსრ კავშირის შემნახველი ბანკი სსრ კავშირის მინისტრთა კაბინეტთან შეთანხმებით განახორციელებენ ღონისძიებებს 1991 წლის 1 მარტის მდგომარეობით ანაბრებისა და სერთიფიკატების მფლობელთა დანაკარგების, ხოლო სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო-მოსახლეობაში არსებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მფლობელების დანაკარგების კომპენსაციისათვის საცალო ფასების ერთდროულ მომატებასთან დაკავშირებით.

39. დაწესდეს, რომ რაიონებსა და ადგილებში, სადაც იყენებენ ხელფასის კოეფიციენტებს მძიმე ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში ცხოვრებისათვის, ამ დადგენილების შესაბამისად ხელახლა დაწესებული და გაზრდილი სტიპენდიები და დახმარებები, აგრეთვე პენსიების, დახმარებებისა და სტიპენდიების კომპენსაციები გაიცემა არასაწარმოო დარგების მუშაკთათვის გამოყენებული კოეფიციენტების გათვალისწინებით.

40. შეიქმნას მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერის ერთიანი საკავშირო-რესპუბლიკური საფინანსო ფონდი საცალო ფასების მომატების შედეგად მიღებული სახსრების ნაწილის ხარჯზე ყველა რესპუბლიკაში მოსახლეობისათვის, აგრეთვე სამხედრო მოსამსახურეებისა და სხვა მოქალაქეებისათვის დაწესებული მიზნობრივი გადასახდელი კომპენსაციების უზრუნველსაყოფად, რომლებიც იღებენ შემოსავალს საკავშირო ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე.

დაევალოთ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტსა და სსრ კავშირის შრომის და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს რესპუბლიკათა მთავრობებთან ერთად ორი კვირის ვადაში შემოიტანონ წინადადებანი აღნიშნული ფონდის სახსრების ოდენობისა და მათი წარმოშობისა და ხარჯვის წესის შესახებ.

ყველა სახეობის პენსიებისა და დახმარებების ოდენობათა გაზრდასთან დაკავშირებით სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ სსრ კავშირის საპენსიო ფონდთან და სსრ კავშირის სოციალური დაზღვევის ფონდთან ერთად განსაზღვროს კომპენსაციების გასაცემად ამ ფონდებისათვის დამატებით ხარჯების ანაზღაურების წესი.

41. სსრ კავშირისა და რესპუბლიკების საცალო ფასების რეფორმისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის საკითხებზე შეთანხმების გათვალისწინებით რესპუბლიკების მთავრობებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა ახალი სახელმწიფო საცალო, რეგულირებადი და თავისუფალი ფასების სამოქმედოდ შემოღებასთან და მოსახლეობისათვის კომპენსაციების გაცემის ღონისძიებათა განხორციელებასთან დაკავშირებით საქონლის გადაფასებისას უზრუნველყონ საცალო ფასების რეფორმისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის პრინციპების ზუსტი დაცვა, დროულად აიცილონ თავიდან შესაძლო ბოროტმოქმედებანი.

42. ბანკების დაწესებულებათა და კავშირგაბმულობის საწარმოთა, სოციალური უზრუნველყოფის ორგანოთა მუშაკებს, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ ანგარიშსწორებას და კომპენსაციისათვის სახსრების გაცემას საცალო ფასების რეფორმასთან დაკავშირებით, სამუშაო დროის დადგენილი ხანგრძლივობის დამატებით და სადღესასწაულო დღეებში მუშაობისათვის შრომა აუნაზღაურდეთ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების 40 და 41 მუხლების შესაბამისად.

43. სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტმა და სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან ერთად ერთი თვის ვადაში სსრ კავშირის მინისტრთა კაბინეტს წარუდგინონ წინადადებანი ამ დადგენილებასთან სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შესაბამისობაში მოყვანის შესახებ.

44. სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტმა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად სსრ კავშირის სახბანკის, სსრ კავშირის საპენსიო ფონდისა და სსრ კავშირის სოციალური დაზღვევის ფონდის მონაწილეობით ორი კვირის ვადაში შეიმუშაონ აღრიცხვის სისტემა და მოაწყონ საცალო ფასების, ბიუჯეტის შემოსავლისა და მოსახლეობისათვის გადასახდელი კომპენსაციების ზრდასთან დაკავშირებით საქონლისა და მომსახურებისათვის ამონაგების შეცვლის შესახებ ინფორმაციის შეგროვება.

დაევალოთ საწარმოებსა და დაწესებულებებს საუწყებო დაქვემდებარებისა და საკუთრების ფორმების მიუხედავად წარმოადგინონ საჭირო ინფორმაცია სტატისტიკური ანგარიშგების დაწესებული ფორმების გარდა.

45. სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ საჭირო შემთხვევებში მოგვცენ ახსნა-განმარტებანი ამ დადგენილების გამოყენების წესის შესახებ.

46. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ წარმოადგინოს წინადადებანი 1991 წლის საკავშირო ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის დაზუსტებისა და „1991 წლის საკავშირო ბიუჯეტის შესახებ" სსრ კავშირის კანონში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე.

პრემიერ-მინისტრი
ვ. პავლოვი.

საქმეთა მმართველი
მ. შკაბარდნია

ფასების რეფორმასთან დაკავშირებული საკომპენსაციო მექანიზმის თავისებურებანი

ითვალისწინებს რა მოსახლეობის დიდ ინტერესს სსრკ მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 19 მარტის № 105 დადგენილებისადმი „საცალო ფასების რეფორმისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის შესახებ", რომელიც მოქმედებაში შედის ჩვენს რესპუბლიკაშიც, საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრო გთავაზობთ საკომპენსაციო მექანიზმის ზოგიერთი თავისებურების ახსნას.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში დადგენილების ცალკეული პოზიცია დალაგებულია ორი ფორმით: ახალი მიზნობრივი კომპენსაციები და არსებული დახმარებების ზრდა კომპენსაციების ხარჯზე.

მოსახლეობის კატეგორია	დახმარების ოდენობა (მანეთებში)			კომპენსაციის გამცემი ორგანო
	არსებული დახმარება	კომპენსაციის ოდენობა	მთლიანი ხმარება	
1. ახალი მიზნობრივი კომპენსაციები (ყოველთვიურად)				
1. 1. მომუშავე მოქალაქეები:				
— ყველა დარგის მუშა-მოსამსახურეები	—	60	60	საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია
— მომუშავე პენსიონერები	—	60	60	— " —
1. 2. დახმარება ბავშვებს, რომელთაც ადრე არ ეძლეოდათ დახმარება ან პენსია	—	40	40	საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია, სოცუზრუნველყოფის ორგანო
1. 3. უმუშევრები	—	50	50	რესპუბლიკის ბიუჯეტი
1. 4. საბავშვო ასორტიმენტის საქონლის გაძვირებასთან დაკავშირებული ყოველწლიურად ერთდროული დახმარებები (კვარტალური გაცემით):				
— 6 წლამდე ბავშვებისათვის	—	50	50	საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია, სოცუზრუნველყოფის ორგანო
— 6-დან 13 წლამდე ბავშვებისათვის	—	60	60	— " —
— 13-დან 18 წლამდე ბავშვებისათვის	—	70	70	— " —
2. არსებული დახმარებების ზრდა კომპენსაციების ხარჯზე (ყოველთვიურად)				
2. 1. ერთდროული დახმარება ბავშვის გაჩენაზე	210	40	250	— " —
2. 2. 1,5 წლამდე ბავშვის მოვლაზე:				
— მომუშავე დედებს	70	40	110	— " —
— არამომუშავე დედებს	35	45	80	— " —
2. 3. 1,5-დან 6 წლამდე ბავშვებისათვის:				
— მომუშავე დედებს	35	45	80	— " —
— არამომუშავე დედებს	35	45	80	— " —
2. 4. სავალდებულო სამხედრო სამსახურში მყოფთა ბავშვებისათვის 16 წლამდე	70	40	110	სოცუზრუნველყოფის ორგანო
2. 5. მარტოხელა დედები:				
— 6 წლამდე ბავშვებისათვის	35	45	80	— " —
— 6-დან 18 წლამდე ბავშვებისათვის	35	55	90	სოცუზრუნველყოფის ორგანო
— 16 წლამდე ბავშვებისათვის მარტოხელა დედებს (ქვრივებს), რომლებიც აღიზარდნენ უპატრონო ბავშვთა სახლებში ან სკოლა-ინტერნატებში	70	40	110	— " —
2. 6. ბავშვებისათვის, რომელთა მშობლები თავს არიდებენ ალიმენტის გადახდას:				
— 6 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის	35	45	80	— " —
— 6-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის	35	55	90	— " —
2. 7. შიდსით ინფიცირებული ან დაავადებული ბავშვებისათვის	70	40	110	სახალხო განათლების ორგანო
2. 8. მეურვეობის ქვეშ მყოფი ბავშვების დახმარება	70	40	110	— " —
3. არამომუშავე პენსიონერები (ყველა სახის) და მათ კმაყოფაზე მყოფი პირები				
3. 1. პენსიონერი	პენსია	65	პენსია	სოცუზრუნველყოფის ორგანო
3. 2. პენსიონერის კმაყოფაზე მყოფი პირი	დანამატი პენსიაზე	65	დანამატი პენსიაზე 65	— " —
3. 3. დედ-მამით ობოლი ბავშვები, რომლებმაც დაკარგეს მარჩენალი	70	130	200	

შენიშვნა: ცხრილში არ არის მოყვანილი საკომპენსაციო მექანიზმი მოსწავლე ახალგაზრდობაზე და სამხედრო მოსამსახურეებზე.

ცხრილში მოყვანილი ზოგიერთი პოზიციის განმარტება

1. 1. საკომპენსაციო თანხა გაიცემა ძირითად სამუშაო ადგილზე (ნახევარ განაკვეთზე მომუშავეთ მიეცემათ 30 მან.), სადაც ინახება შრომის წიგნაკი.

1. 2. 16-დან 18 წლამდე კომპენსაცია ეძლევათ იმ მოსწავლეებს, რომლებიც არ იღებენ სტიპენდიას;

1. 2. საკომპენსაციო თანხები გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საშუალო თვიური შემოსავალი ოჯახის 1 სულზე არ აღე-
1. 4. მატება 280 მანეთს.
2. 3.

1. 2. — საკომპენსაციო თანხის მისაღებად პიროვნებამ ქალაქში უნდა წარმოადგინოს ცნობა მისი ოჯახის წევრთა საშუალო წლიური
1. 4. ხელფასის შესახებ (შემოსავლის სხვა წყაროების ჩვენებით),
2. 3. ხოლო სოფლად აღნიშნულს ემატება სასოფლო საბჭოს — საკრებულოს მიერ გაცემული ცნობა საკარმიდამო ნაკვეთიდან მიღებულ წლიურ შემოსავალზე;

1. 2. — ცნობების გარეშე აღნიშნული კომპენსაციები გაიცემა სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული და ლტოლვილი ოჯა-
1. 4. ხების ბავშვებზე (თანხები გაიცემა მხოლოდ მათი ამჟამინ-
2. 3. დელი განსახლების რაიონების მიხედვით).

1. 3. უმუშევრები:

— ვინაიდან კანონპროექტი საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის დასაქმების შესახებ განხილვის პროცესშია, კანონის მიღებამდე კომპენსაციები გაიცემა უმუშევრების შემდეგ პირობით კატეგორიებზე:

— 1991 წლის 1 იანვრიდან სამუშაოდან განთავისუფლებული შრომისუნარიანი ასაკის პირებზე, რომლებიც წარმოადგენენ შრომის წიგნაკს (ამონაწერს შრომის წიგნაკიდან) ქალაქის ან რაიონის შრომითი მოწყობის ცენტრში ან ბიუროში.

— სტიქიური უბედურებით დაზარალებული და ლტოლვილი ოჯახების შრომისუნარიან წევრებზე, რომლებიც ამჟამად არ მუშაობენ, იმყოფებიან რესპუბლიკის ტერიტორიაზე და დაფიქსირდებიან ახალი განსახლების ადგილის მიხედვით ქალაქის ან რაიონის შრომითი მოწყობის ცენტრში ან ბიუროში.

(შრომითი მოწყობის ცენტრები განთავსებულია ქ. თბილისში, რუსთავში, ბათუმში, სოხუმში, ქუთაისში, ქ. ცხინვალი და ქ. გორის ბიურო; შრომითი მოწყობის ბიუროები განთავსებულია ადმინისტრაციულ სარაიონო ცენტრებში. ცენტრების და ბიუროების მოქმედების მთლიან კოორდინაციას განახორციელებს შრომითი მოწყობის რესპუბლიკური ცენტრი).

2. 1. ორი ან მეტი ბავშვის გაჩენის შემთხვევაში დახმარება და კომპენსაცია გაიცემა თითოეულ ბავშვზე.

2. 2. — წარმოებისაგან მოწყვეტით მოსწავლე დედები განეკუთვნებიან მომუშავეთა კატეგორიას;

— 18 წელს გადაცილებულ ერთ წელზე ნაკლები მუშაობის სტაჟის მქონე დედები განეკუთვნებიან არამომუშავეთა კატეგორიას.

2. 5. 6-დან 18 წლამდე ბავშვებში კომპენსაცია მიეცემა 16-დან 18 წლამდე მოსწავლეებს, რომლებიც არ იღებენ სტიპენდიას.

3. 2. პენსიონერების კმაყოფაზე მყოფ თითოეულ პირზე კომპენსაცია გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათზე პენსიონერს ეძლეოდა შესაბამისი დანამატი.

შრომის, სოციალური დაცვის და დემოგრაფიის სამინისტროსთან შეიქმნა დროებითი საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც დამატებით განუმარტავს ყველა დაინტერესებულ მოქალაქეს და ორგანიზაციას ფასების მომატებასთან დაკავშირებით კომპენსაციების გაცემის მექანიზმს.

სამინისტროს მისამართია: ქ. თბილისი 380007, გ. ლეონიძის ქ. № 12.

ტელ.: 93-63-58; 93-63-96; 99-72-94.

შეხვედრა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორესთან

25 მარტს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მიიღო საქართველოში სტუმრად მყოფი ალექსანდრე ბაგრატიონ-მუხრან ბატონი, რომელიც იტალიიდან ჩამოვიდა. ბატონი ალექსანდრე გახლავთ ბიძაშვილის შვილი ცნობილი მწერლისა და მთარგმნელის ელისაბედ ბაგრატიონისა, რომელმაც მოიწვია იგი საქართველოში. ალექსანდრე ბაგრატიონი ეწვია თავის სამშობლოს, იმ მიწას, სადაც განისვენებენ მისი სახელოვანი წინაპრები. განათლებით იურისტს, დიდი სურვილი აქვს საქმიანი ურთიერთობა დაამყაროს სამშობლოსთან, ეკონომიკური დახმარება აღმოუჩინოს მას.

უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მიესალმა სტუმარს და, კერძოდ, აღნიშნა:

— მოხარული ვართ, რომ ჩამობრძანდით თქვენს სამშობლოში. თქვენ იმ გვარის წარმომადგენელი ბრძანდებით, რომელსაც დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოს წინაშე. ვფიქრობ, რომ ეს ურთიერთობა აუცილებელია უცხოეთში მცხოვრებ ქართველებთან.

დღეს, — განაგრძო შემდეგ კათალიკოს-პატრიარქმა, — განსაკუთრებული დღეა — დიდი საეკლესიო და ეროვნული დღესასწაული — საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენის დღე. სწორედ ამ დღეს 74 წლის წინათ, აღდგა გაუქმებული ავტოკეფალია საქართველოს ეკლესიისა, რომელიც მას ჰქონდა მეხუთე საუკუნიდან. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია არის დიდი მონაპოვარი, დიდი მიღწევა ქართველი ერისა. ის სულიერი კულტურა, რომელიც საქართველოში აღმოცენდა — მხატვრობა, ლიტერატურა, ფილოსოფიური აზრი — ეს ყველაფერი იმის შედეგია, რომ საქართველოს ეკლესია იყო დამოუკიდებელი. მაგრამ საქართველოს ეკლესიას ჰქონდა რთული პერიოდი, როცა მან დაკარგა დამოუკიდებლობა და მას რუსეთის იმპერატორის არაკანონიერი ბრძანებით ეგზარქოსი მეთაურობდა, დარღვეული იყო ყოველგვარი იურიდიული და საეკლესიო კანონები. 106 წლის მანძილზე საქართველოს ეკლესიამ 19 ეგზარქოსი გამოიცვალა. 1917 წელს სვეტიცხოველში გაიმართა საეკლესიო კრება, რომელზეც გამოცხადდა, რომ საქართველოს ეკლესიამ კვლავ აღიდგინა თავისი დამოუკიდებლობა. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად არჩეულ იქნა კირიონი (გიორგი საძაგლიშვილი).

სწორედ ეს დღესასწაული დაემთხვა თქვენს ვიზიტს საქართველოში, — ბრძანა შემდეგ უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ. საქართველოს ეკლესია, —განაგრძო მან, — დღეს აქტიურად მოღვაწეობს შინ და გარეთ, დაკავშირებულია ყველა ქრისტიანულ ეკლესიასთან, პროტესტანტულ ეკლესიასთანაც. რაც შეეხება შინაურ საქმეებს, გაიხსნა თბილისის სასულიერო აკადემია, აღდგა გელათის სასულიერო აკადემია, მცხეთიდან გადმოტანილია სასულიერო სემინარია, იხსნება სამრევლო სკოლები, მონასტრები, ტაძრები, გამოდის გაზეთი „მადლი“, ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, საინფორმაციო ბიულეტენი ინგლისურ ენაზე, სღვთისმეტყველო კრებული, წიგნები, კალენდრები.

საქართველოს ეკლესია მუდამ თავის ერთან იყო. ასეა დღესაც, როცა საქართველოში დიდი პოლიტიკური და სოციალური ცვლილებები ხდება. ეკლესია აქტიურად უჭერს მხარს ჩვენს ხელისუფლებას, ჩვენს ერს. მთელი საქართველოს სურვილი და ოცნებაა, რომ ჩვენ მოგვასწროს ღმერთმა იმ ბედნიერ დღეს, როცა საქართველო თავისუფალი იქნება. ამ სანუკვარი მიზნის მიღწევაში უცხოეთში მცხოვრები ქართველები მაყურებლის როლში როდი უნდა იყვნენ, მათ უნდა შეასრულონ აქტიური როლი ამ პოლიტიკურ პროცესში — გათავისუფლების პროცესში. და, პირველ რიგში, ბაგრატიონებმა. ეს თქვენი დედა სამშობლოა, მუდმივი სამყოფელი, სადაც სტუმარი არ უნდა იყოთ. მართალია, დღეს საქართველოში მრავალი პრობლემაა, მათ შორის შიდა ქართლის, სხვა რეგიონებისა, მაგრამ, ვფიქრობ, ყველაფერი დაწყნარდება, თავის ადგილზე დადგება და ღვთის მადლით ვიქნებით თავისუფალი. ქართველი ადამიანი მუდამ ძმური სიყვარულით იღებდა სხვა ერის წარმომადგენლებს, რომლებიც ჩვენს მიწაზე ცხოვრობდნენ. ახლა რა ხდება? ის ადამიანები, ვინც ქართველებმა შეიფარეს, გადაარჩინეს სიკვდილს, გამოყოფას თხოულობენ, საქართველოს მიწა-წყალზე რესპუბლიკას აცხადებენ. ამას საქართველო არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს.

უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სტუმარს საჩუქრად გადასცა ქართულ ენაზე გამოცემული „ბიბლია“ და წმინდა გიორგის ხატი, ასევე მან იტალიაში საჩუქარი გაატანა ქეთევან ბაგრატიონთან და მის მეუღლესთან ჰერცოგ რაიმონდო ორსინისთან.

ალექსანდრე ბაგრატიონმა გულითადი მადლობა გადაუხადა კათალიკოს-პატრიარქს და მიართვა მას კარდინალ ჯულიო რიჩის ვატიკანში გამოცემული წიგნი „ტურინის სუდარა“. ეს ფართოდ გახმაურებული გამოკვლევა ეხება ქრისტეს სუდარის პოვნას, რომელშიც ჯვარიდან ჩამოხსნილი ნაწამები მაცხოვარი იყო გახვეული.

უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მადლობით მიიღო საჩუქარი.

საქინფორმი.

სურათზე: ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დღეს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მიიღო ალექსანდრე ბაგრატიონ მუხრან ბატონი, რომელიც იტალიაში ცხოვრობს.

ვანო შამანაძის და მიხეილ კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ფოტორეპორტაჟი

გაზაფხულის კონცერტი

თბილისის კომპოზიტორთა სახლში მესამე დღეა მიმდინარეობს საბავშვო და მოზარდთა მუსიკის კვირეული, რომელიც მეოცედ გაიმართა. ეს კვირეული ტრადიციულად გაზაფხულს მოჰყვება ხოლმე და ამიტომაც არის გაზაფხულივით ხალისიანი, ჰარმონიული და მრავალფეროვანი. კვირეულს ხელმძღვანელობს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მერი დავითაშვილი. მასში მონაწილეობენ როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ასევე სამუსიკო სასწავლებლების ყველა ასაკის მოსწავლეები, აგრეთვე ლენინგრადის საბავშვო ორკესტრი, სულ დაგეგმილია 10 კონცერტი, კვირეული 30 მარტამდე გასტანს.

სურათებზე: თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის საშუალო-სპეციალური სამუსიკო სკოლის მეცხრეკლასელი მარინა ლოლაძე როიალთან და ამავე სკოლის მერვე კლასის მოსწავლე თეონა ხარაძე; უკრავს თეა ხატიაშვილი; წორჩი მსმენელები.

თედო ნიკოლაიშვილის ტექსტი და ფოტო.

საკუთარ სახლში

შესაძლებლობა გვექნება ისე მოვუაროთ...

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი, თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე ბატონი ვაჟა ადამია 23-24 მარტს იმყოფებოდა სამაჩაბლოში: შეხვდა თავის ამომრჩევლებს, ქემერტის, კეხვის, ქურთის, აჩაბეთის მოსახლეობას. ესაუბრა საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის, საერთაშორისო ვითარების შესახებ, უპასუხა შეკითხვებს, ესაუბრა რეფერენდუმის მნიშვნელობაზე, მოუწოდა, ერთსულოვნად მიიღონ მონაწილეობა არჩევნებსა და რეფერენდუმში, რადგან დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოში გვექნება შესაძლებლობა ისე მოვუაროთ ჩვენს მიწა-წყალს, როგორც საჭიროა, რომ განვლილი 200 წლის მანძილზე (1918-21 წლების გამოკლებით) ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი საქართველოს ცხოვრებაში, ერმა თავისი დადებითი პასუხით რეფერენდუმის კითხვაზე უნდა გამოხატოს თავისი ნება იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი, და ისიც, რომ ღირსია ამ თავისუფლებისა.

ბატონ ვაჟა ადამიასთან ერთად სამაჩაბლოში იყვნენ უზენაესი საბჭოს წევრები, კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე ბატონი ნუგზარ მოლოდინაშვილი და ქალბატონი სალომე ზვიადაძე.

ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ **მურმან მელიტონის ძე ომანიძე** დანიშნა საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის მინისტრის პირველ მოადგილედ და გაათავისუფლა იგი ამავე სამინისტროს მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ **ბორის გიორგის ძე კალანდია** დანიშნა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ.

საქინფორმი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს პრეზიდიუმის

დადგენილება

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი შენობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი შენობა (მაჩაბლის 11) მთელი თავისი სათავსოებით ა. წ. 26 მარტიდან გადაეცეს საქართველოს მწერალთა კავშირს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 25 მარტი.

27 მარტი თეატრის საერთაშორისო დღეა

„დროთა კავშირი დაირღვა, ჰორაციო!“

სათეატრო აფიშაზე გამოჩნდა „ჰამლეტი“, რომელსაც დიდხანს ელოდა მაყურებელი. რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე შექსპირის პიესა აამეტყველა რეჟისორმა გიზო ჟორდანიამ. ჩვენ კარგად ვიცით შემოქმედებითი გზა, რომელიც ახალგაზრდულმა დასმა გამოიარა ოსტატი რეჟისორი-პედაგოგის ხელმძღვანელობით. მაყურებელმა შეიყვარა „ანა ფრანკის დღიური“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ამაღამ მგონი იქნება ქარი“, „ლეონსი და ლენა“ და აგერ, სცენის ფიცარნაგი „ჰამლეტს“ ეთმობა.

მაყურებელმა სპექტაკლი ინტერესით მიიღო, მართალია, იგი სამ საათს გრძელდება, მაგრამ კომპოზიციურად ისეა შეკრული, რომ ბოლომდე გიზიდავთ. მოსაწყენი არ ხდება.

ტრაგედიის ჟორდანიასეული ორმოქმედებიანი ვარიანტი, მართლაც ბევრ საინტერესოს მოიცავს, პიესის ტექსტი შემოკლებულია, თუმცა, სცენები თამაშდება ისეთივე თანმიმდევრობით, როგორც ეს შექსპირთანაა.

ჩვენი აზრით, დაიბადა „ჰამლეტის“ ორიგინალური, შთამბეჭდავი მოდიფიკაცია. შეიძლება ზოგი რამ ამ სპექტაკლში არ მიიღო, შეედავო კიდეც მის დამდგმელს, არ დაეთანხმო ამა თუ იმ თემის, მოტივის, დეტალის გააზრებაში, მაგრამ ერთი რამ ყველასათვის საცნაურია, — ტრადიციული, თითქმის კანონიკურად შერაცხული ტრაგედია თავისუფლად სუნთქავს. რეჟისორი გაბედულად ამბობს უარს „კანონიკური კლასიკის ლეგენდაზე“.

ყველა ეპოქაში „ჰამლეტს“ თავისებურად ხსნიან, სხვადასხვა მსოფლმხედველობრივი და მორალური საზომებიდან აღიქვამენ. მსოფლიო სევდით შეპყრობილი, დიდი ადამიანური ბუნებისა და კეთილშობილი პრინცის სახეს ქმნის მსახიობი მერაბ ნინიძე, რომლის ჰამლეტშიც თანამედროვეობის ბევრი მოტივი აჟღერდა. მერაბ ნინიძის გმირი მოაზროვნეა, უწმინდესი ადამიანი, „სინდისი, რომელიც მოჯადოებულ წრეში ჩავარდა“. იგი ცხოვრების კანონზომიერებებს ეძებს და ცდილობს ჩაწვდეს იმას, „რაც ფილოსოფოსთ სიზმრად არც კი მოლანდებიათ“. სპექტაკლი თავისი აზრით, განწყობილებით და სულისკვეთებით საოცრად ეხმიანება ჩვენს ყოფას, „საზარელ ჟამს“, „სახსრებნაღრძობ დროს“, სცენურ ნაწარმოებში ნათლადაა გამოკვეთილი ის ღრმა წინააღმდეგობა, რაც ადამიანის იდეალურ მისწრაფებასა და მის რეალურ ყოფიერებას შორის არსებობს. რეჟისორულ ინტერპრეტაციაში განსაკუთრებული ძალით აჟღერდა ადამიანის ნების და შესაძლებლობებისადმი რწმენა და ამასთან ადამიანში წმინდა, ღვთიური ნიჭის ჩაკვლის ტრაგიკული შეგრძნება — „დროთა კავშირი დაირღვა და წყეულმა ბედმა მე რად მარგუნა მისი შეკვრა!“

კლავდიუსის სახე (ზაზა პაპუაშვილი) სპექტაკლში წინა პლანზეა წამოწეული და უპირისპირდება ჰამლეტს, რათა უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს დანიის პრინცის უნატიფესი, კეთილშობილი და დიადი ნატურა. ნიჭიერი მსახიობი დგას კლავდიუსის როლის შემსრულებლის სახით სცენაზე.

შეიქმნა შესანიშნავი აქტიორული ნამუშევრები; განსაკუთრებით აღსანიშნავია ნანა შონიას გერტრუდა, მალხაზ ქვრივიშვილის აჩრდილი, გოჩა კაპანაძის პოლონიუსი, ნანა ხუსკივაძის ოფელია, ირაკლი მაჭარაშვილის ჰორაციო, ლევან ბერიკაშვილის ლაერტი.

სპექტაკლის მხატვრობა ეკუთვნის თემურ ნინუას, კომპოზიტორია დავით ევგენიძე, ფარიკაობა შოთა გეგიაძისაა.

პრემიერის შემდეგ, აზრის გამოთქმა ვთხოვე **რეჟისორ რობერტ სტურუას**, თეატრმცოდნე **ვაჟა ბრეგაძეს** და შექსპიროლოგ **ნიკო ყიასაშვილს...**

რობერტ სტურუა: „ჰამლეტი“ რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე შესანიშნავი წარმოდგენაა. მსოფლიო დრამატურგიის ურთულესი და უმშვენიერესი პიესა მათი ინტერპრეტაციით ძალიან მომეწონა. განსაკუთრებით გამოვყოფ ზაზა პაპუაშვილს კლავდიუსის როლში.

პირადად მე, ბევრი „ჰამლეტი“ მინახავს, მაგრამ ასეთი წარმოდგენა, პიესაში რომ ახალგაზრდები თამაშობდნენ ყველა როლს, აქამდე არ შემხვედრია. ძალიან კარგ დონეზეა საერთოდ სპექტაკლის აქტიორული მხარე. ჭეშმარიტად ნიჭიერი საიმედო ახალგაზრდობა ეზრდება ქართულ თეატრს.

მაგრამ ერთი შენიშვნა კი მაქვს ამ სპექტაკლის მიმართ — მისი დეტალები რუსთაველის თეატრის ადრინდელი შექსპირული ნამუშევრების გარკვეულ ასოციაციებს ბადებს, რადგანაც იგივე თეატრში იდგმება შექსპირის დრამატურგია, დამდგმელი კოლექტივი ყველანაირად უნდა შეეცადოს გვერდი აუქციოს უკვე ჩვენს თეატრში ჩამოყალიბებულ, დადგენილ ფორმებს.

მითუმეტეს, იოლი იყო ახალგაზრდული დასი გაქცეოდა ამ ცდუნებას, რითაც დიდად მოიგებდა მთელი სპექტაკლი, რადგან თავისთავადი, ორიგინალურიც, ძალიან ბევრია ამ სცენურ ქმნილებაში.

ვაჟა ბრეგაძე: შექსპირის პიესის გამოჩენა თეატრის აფიშაზე უკვე საყოველთაო ზეიმის ნიშანია. ამაზე უკეთესს რას ინატრებს მაყურებელი, მითუმეტეს ქართველი მაყურებელი. გასულ საუკუნეში ილია ჭავჭავაძემ „მეფე ლირის“ თარგმნა რომ დაიწყო (ვანო მაჩაბელთან ერთად), იცოდა, რომ ეს ის ავტორია, რომელიც ქართულ თეატრს ერთ ქვაკუთხედად უნდა შესდგომოდა.

მე, დღემდე მიკვირს ქართულ სკოლაში რატომ არ ისწავლება შექსპირი ივანე მაჩაბლის თარგმანით!..

ახლა, რაც შეეხება სპექტაკლ „ჰამლეტს“ შექსპირის რომელიმე დრამა უეჭველად უნდა ჰქონოდათ რეპერტუარში მათ, სამისოდ ყველა წინაპირობა იყო. მე სიამოვნებით აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ სამი საათის განმავლობაში დიდი ინტერესით ვუსმენდი სპექტაკლს და გულმოდგინედ „ვკითხულობდი“ რეჟისორ გიზო ჟორდანიას ჩანაფიქრს. არაერთი „ჰამლეტი“ მინახავს, და ამდენად ის ინტერესი, რომელიც ახალი დადგმისადმი დამეუფლა, მის ორიგინალურობაზე მეტყველებს.

ბევრი რამ საინტერესოდ და ორიგინალურად არის გადაწყვეტილი სპექტაკლში, რის გამოც მაყურებელი გაუნელებელი ყურადღებით უყურებს მას. იმედი მაქვს, რომ ამ სპექტაკლს შესანიშნავი მომავალი ექნება.

ნიკო ყიასაშვილი: ჯონ გილგუდს, რომელსაც ჩვენს საუკუნეში ყველა სხვა მსახიობზე მეტჯერ აქვს შესრულებული ჰამლეტის როლი, როცა ჰკითხეს თუ რა აზრისა იყო შექსპირის ამ ტრაგედიის შესახებ, მან პასუხად ბერნარდ შოუს ნათქვამი გაიხსენა: „არ შეიძლება მისი მნიშვნელობის ჩამოყალიბება ერთ საფოსტო ბარათზე“. ალბათ იგივე შეიძლება ითქვას საინტერესო, სერიოზული სპექტაკლის შესახებ აზრის გამოთქმის შესაძლებლობაზეც. პირველი შთაბეჭდილება კი უეჭველად დადებითია. იშვიათია, აგექვიატოს წინა საღამოს ნანახით მიღებული სიამოვნების გრძნობა. ეს მხოლოდ რაღაც ჭეშმარიტის, ხალასის ნახვით გამოწვეული „ეფექტი“ შეიძლება იყოს.

ვერ გამოვრიცხავ იმას (ამ მხრივ დიდი ხნის გამოცდილება მალაპარაკებს), რომ სპექტაკლის ზოგიერთი შესაძლო ოპონენტი რეჟისორს უკიჟინებს შექსპირის ტექსტისადმი უპატივისმცემლობას. ეს ბრალდება ძველის-ძველია, მაგრამ, როგორც იტყვიან, სიძველე მას ვერ ანიჭებს ჭეშმარიტების ძალას.

იგივე გილგუდი. მხოლოდ ამჯერად როგორც „ჰამლეტის“ დამდგმელი, დიდი მოწიწებით, მაგრამ თამამად ეკიდებოდა ზოგიერთი ადგილის რეჟისორული რედაქტირების საკითხს. პიესის ტექსტის ერთგვარ ადაპტაციას ის იმით ხსნის, რომ ისეთი ადგილები, როგორიცაა, მაგალითად, ფორტინბრასის მაყურებლისადმი წარდგინება ტრაგედიის დასაწყისში, ანდა კლავდიუსის ზოგიერთი რეპლიკა, მეტისმეტად მელოდრამატულად ჟღერს თანამედროვე თეატრში და მაყურებლისათვის ნაკლებად საინტერესოა. მაგრამ ჩვენ, უკვე შექსპირის ჩვენი საკუთარი ადაპტაციები გაგვაჩნია, რომელთა შორის, რა თქმა უნდა, საგანგებოდ გამოირჩევა რობერტ სტურუას „რიჩარდი“ და „ლირი“. ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ ძალუმ რეჟისორულ კონცეფციას და ესთეტიკას თავისი კვალი არ დაეჩნია ქართული თეატრის განვითარებაზე. ასეც მოხდა და ეს სულაც არ გულისხმობს ბრმა მიმბაძველობას.

გიზო ჟორდანიას სპექტაკლი თავისუფალია ტექსტის ისეთი ახლებური წაკითხვისაგან, რომელიც მხოლოდ, ფორმალისტური ნოვატორობის იერს ატარებდეს. თითქოს ისევ მომესმა ზოგიერთი შესაძლებელი ოპონენტის რისხვის ხმა და გამახსენდა, რომ ჰამლეტის როლის ერთ-ერთმა საუკეთესო შემსრულებელმა ჯონ ბარტონმა (ბროდუეის უკვე კლასიკურ დადგმად აღიარებულ სპექტაკლში), ინტერვიუს მიცემისას, კითხვაზე, თუ ხან რატომ აძერებოდა ხოლმე სკამზე და ხან არა მონოლოგის — „ამ ბოლო დროს, მე თვითონ არ ვიცი, რა მიზეზით“ — წარმოთქმის დროს, უპასუხა: „ეს ჩემი საყვარელი მონოლოგია და ზოგჯერ ტენდენცია მაქვს მეტისმეტად ლირიკულად აღვიქვა იგი. და როცა ეს ხდება, ვატყობ, მაყურებელს თითქოს ძილი ერევა, აღარ მისმენს. გადავწყვიტე ამ მონოლოგის დეპოეტიზირება მომეხდინა, რათა როგორმე მეიძულებინა მოესმინათ ჩემთვის. ერთ საღამოს სკამზე ავძვერი. ეს ისე მოეწონა მაყურებელს, რომ ვიფიქრე კიდევ ერთი ნაბიჯი უნდა გადავდგა ამ მიმართულებით და მაგიდაზეც უნდა შევდგე-მეთქი. ახლა უკვე აშკარად მისმენენ. და თუ ზოგჯერ ამას არ ვაკეთებ, ეს მაშინ, როცა ვგრძნობ, რომ მაყურებელი ისედაც ხელში მყავს აყვანილი“. და ბარტონის ეს „საქციელი“ მკრეხელობად რომ არ მოგვეჩვენოს, უნდა გავიხსენოთ, რომ ამ მონოლოგს ჰამლეტი როზენკრანცთან და გილდენსტერნთან შეხვედრისას წარმოთქვამს.

საინტერესო მიგნებებით მდიდარ სპექტაკლიდან რამდენიმე მომენტს გაკვრით აღვნიშნავ.

მსახიობთა დასის კომიკური ინტერპოლაცია, ისევე როგორც ბევრი სხვა ადგილი სპექტაკლში, შექსპირის ტრაგედიის „პირველად წაკითხვის“ ეფექტს უქმნის მაყურებელს ეს ნიჭიერად შესრულებული სცენა გასაოცრად შექსპირული და ჩვენი თანადროულია ერთსა და იმავე დროს. ეს ალბათ შექსპირის დროს იმ კომიკურ ინტერპოლაციებს განეკუთვნებოდა, რომელთა შესრულებისას უილ კემპი ან რომელიმე სხვა მსახიობი ხშირად საკუთარ რეპლიკებს ისროდა და ეს რეპლიკები შემდგომ შექსპირის აკადემიურ გამოცემებშიც მოხვდა. თვითონ ჰამლეტი მოხდენილად არის შეყვანილი მოხეტიალე მსახიობთა სამყაროში, არა მხოლოდ როგორც მათი მეცენატი, არამედ როგორც თეატრად წარმოდგენილი ცხოვრების უშუალო მონაწილე. მისი აქტიორობა შექსპირის პიესის ძირითად ფარულ მეტაფორას ეხმიანება — სცენური სანახაობის, სახიობის მომენტები თვით „ჰამლეტის“ სტრუქტურულ ელემენტს შეადგენენ: დანიის უფლისწულის ტრაგედია, თე შეიძლება ასე, ითქვას, „თეატრალური კანონების“ მიხედვით გამართულ სცენურ სიტუაციათა ერთობ რთულ სისტემაშია გაშლილი. ეს კარგად აქვს დაჭერილი და გააზრებული გიზო ჟორდანიას. ამიტომაა, რომ მისი სპექტაკლის ძირითად ღერძს თუ სცენურ ფორმას აზრით დატვირთული და მოხდენილი პლასტიკა შეადგენს.

დაახლოებით იგივე ითქმის მესაფლავეთა ეპიზოდზეც, რომელსაც მდიდარი სცენური ტრადიცია გააჩნია, მაგრამ რომელიც სპექტაკლში, ასეთი ცოცხალი ნერვითა და მსუყე რენესანსული ფერებით შეფერილი, ახლებურად აჟღერდა.

დაბოლოს, რა თქმა უნდა, თვით ჰამლეტის როლის მთელი ნახაზი და მისი შესრულება სპექტაკლის წარმატების ძირითადი პირობა იყო. შევეხები კიდევ რამდენიმე მომენტს, მახსენდება, მაგალითად, ოფელიას სიგიჟის სცენა, რომელიც რეჟისორული და აქტიორული ნიუანსებითაა გამდიდრებული. მისთვის ძირითადად არტისტული სისადავეა დამახასიათებელი და არა სიგიჟის ქცევისა და მეტყველების გარეგნული „ატრიბუტების“ ჩვენება... ანდა, კლავდიუსი ისე იხდის და კვლავ იცვამს ფეხსაცმელს, რომ ამ თითქოსდა უმნიშვნელო მოქმედებაში რაღაც ძნელად ასახსნელი, მაგრამ, ამავე დროს, აშკარა მინიშნებაა პერსონაჟის ხასიათის არსებით მხარეზე... ისეთი გადაწყვეტა, როგორიცაა აჩრდილის „პრობლემის“ ახლებური გააზრება: აჩრდილი სცენაზე ხან ნატურალისტურად იყო ხოლმე წარმოდგენილი, ხან მისტიკურ-ჰაეროვნად და ხან სულაც პროჟექტორის სხივის სიმბოლიკით, მაგრამ არ მეგულება დადგმა (თუმცა, რაღა თქმა უნდა, ყველას არ ვიცნობ), რომელშიც ჰამლეტსა და აჩრდილს შორის ასეთი საინტერესო, სცენურად დამაჯერებელი და ეფექტიანი კონტაქტი მყარდებოდეს.

ალბათ თანდათან მთლიანად დაიძლევა ხელოვნური სცენური მეტყველების ზოგიერთი რეციდივი, ხოლო სპექტაკლის სტილური გადაწყვეტის ძირითადი „ფორმა“ — პლასტიკა — განთავისუფლდება ზოგჯერ გადამეტებული ჟესტიკულაციისაგან და სიტყვის ილუსტრირებისაგან.

საკამათოა დედოფლის ასეთი გულახდილი მონაწილეობა (თუნდაც პასიური ფორმით) კლავდიუსისა და ლაერტის გეგმებში. თუმცა თვით დედოფლისა და კლავდიუსის ხაზი და მსახიობური შესრულება საინტერესოდ მიმაჩნია.

მაგრამ ეს დეტალებია. მთავარი ისაა, რომ ახალგაზრდულმა თეატრმა, ნიჭიერმა მსახიობებმა, გამოცდილი, საკუთარი მყარად ჩამოყალიბებული რეჟისორული კონცეფციის მქონე ხელმძღვანელის მეთაურობით ახალი საინტერესო შექსპირული სპექტაკლი გვაჩუქეს. გულით ვულოცავ მათ ამ წარმატებას.

ჩვენც ვუერთდებით ბატონი ნიკოს მილოცვას და ვუსურვებთ ნიჭიერ, მაძიებელ თანამოაზრეთა თეატრს სცენური იღბალი დაჰყოლოდეს მათ ბოლო ნამუშევარს, კიდევ უფრო განემტკიცებინოს შემოქმედებითი ავტორიტეტი, რომელიც მათ სამართლიანად მოიპოვეს.

გიორგი ლალიაშვილი

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „ჰამლეტი“. ჰამლეტი — მერაბ ნინიძე.

ჯავარ ლომაძის ფოტო

შიდა ქართლი

ვითარება სამაჩაბლოში

ქალაქ ცხინვალის კომენდანტმა, შინაგანი სამსახურის პოლკოვნიკმა თენგიზ ეპიტაშვილმა გადმოგვცა, რომ 25 მარტიდან 26 მარტის დილამდე ცხინვალსა და მის მიმდებარე სოფლებში სრული სიწყნარე იყო.

ხორციელდება ღონისძიებები ვითარების შემდგომი სტაბილიზაციისათვის. 26 მარტს დღის განმავლობაში რეგიონში სიმშვიდე იყო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი

საქინფორმი.

წერილი რედაქციას

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

ა. წ. 18 თებერვალს, მრავალათასიან მიტინგზე საჯაროდ ითქვა, რომ „საქართველოს მხედრიონი“ გადაკეთდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციად. აქედან მოყოლებული იგი მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი პოლიტიკური აქციებით იბრძვის. დღეს, როცა „საქართველოს მხედრიონი“ ოფიციალური ხელისუფლებისაგან იდევნება, მისი წევრობის დამადასტურებელი მედალიონი, რომლის რამდენიმე ეგზემპლიარი დაიკარგა და არაერთი ყალბი პირი დამზადდა, შესაძლოა გახდეს ახალი პროვოკაციული ბრალდების მიზეზი. ზემოთქმულის თავიდან ასაცილებლად ვაცხადებთ: „საქართველოს მხედრიონის“ წევრობის დამადასტურებელი მედალიონის უფლებამოსილება შეჩერებულია.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია „საქართველოს მხედრიონი“

31 მარტიდან გადავდივართ ზაფხულის დროზე

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებით მიმდინარე წლის 31 მარტიდან გადავდივართ ზაფხულის დროზე. ამ დღეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე 2 საათსა და 00 წუთზე საათის ისრები უნდა გადაიწიოს 1 საათით წინ.

ამ განკარგულების შესასრულებლად აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებს, მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს დაევალათ შეიმუშაონ და განახორციელონ „ზაფხულის დროის“ შემოღებისათვის საჭირო ღონისძიებანი.

საქინფორმი.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26.
წერილების რედაქცია 99-73-24
იბეჭდება საგაზეთო
კომბინატში, ხოშარაულის ქ. № 29
ინდექსი 60434

საქართველოს რესპუბლიკა